

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

აღიარებულია

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე არის ქვეყნის მთავრობის მიერ გამოცხადებული დღე, რომელიც აღნიშნავს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღიარებულია 1918 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და შეიქმნა სახელმწიფო. ეს დღე აღიარებულია საქართველოს მთელი მოსახლეობის მიერ და აღინიშნება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღიარებულია 1918 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და შეიქმნა სახელმწიფო. ეს დღე აღიარებულია საქართველოს მთელი მოსახლეობის მიერ და აღინიშნება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ახალი ამბები 6

ფაროსანას საინჟინერო-ტექნიკური ცენტრის მიერ შეიქმნა მუშაობის პროექტი



სახელმწიფო კონტროლი 7

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სურსათის უვნებლობის სფეროში 10 000-მდე სახელმწიფო კონტროლი განახორციელა

2024 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი გეგმავს რეგულირების 94 ობიექტს შეამოწმებს

ქართული ღვინო 8-9

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში ბუნებრივი ღვინის საერთაშორისო გამოფენა „Real Wine Fair“ გაიმართა, რომელშიც ქართული ღვინის მწარმოებელი 7 კომპანია მონაწილეობდა

ნიდერლანდების სამეფოს დედაქალაქ ამსტერდამში ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა



დაცული ტერიტორიები 10

ყაზბეგის ეროვნული პარკის მრავალფეროვან ფლორასა და ფაუნას თავდაუზოგავად იცავენ ბუნების მცველი რეინჯერები. მათი შრომის შედეგად, ყაზბეგის ეროვნულ პარკში მომრავლებულია ფლორისა და ფაუნის არაერთი უნიკალური სახეობა



გარემოს დაცვა 11

ნარჩენების მართვის, სათბური აირების ემისიების შემცირების და მრავალჯერადი გამოყენების შეფუთვის სისტემების დანერგვის მიმართულებით ახალი პროექტი იწყება

პროექტი „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ 24 მუნიციპალიტეტში განხორციელდება

წარმატების ისტორიები 12-13

ახმეტის მუნიციპალიტეტში წარმოებული ენერგოეფექტური ღუმელები მთელი ქვეყნის მასშტაბით იყიდება

სახელმწიფოს ხელშეწყობით შექმნილი საწარმო ქედაში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედ საწარმოს პროდუქცია ექსპორტზე გააქვს

„საქართველოს მელიორაცია“ დამრობის საფრთხის წინაშე მყოფი კუმისის ტბის წყლით მომარაგების სამუშაოები დაასრულა

ხობი-უტორას დამშრობი მასივის განმედილი სამუშაოები მიმდინარეობს

ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ახალი ამბები 2-6



საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უწყებები ქალაქ მცხეთაში, ოზურგეთსა და ზუგდიდში სხვადასხვა აქტივობით იყო წარმოდგენილი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ, სოფელ ჩხორიაში, ფერმერ გიორგი გაბუნიას თხილის ბაღი დაათვალიერა და იმ ფერმერებს შეხვდა, რომლებიც თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში იღებენ სახელმწიფოსგან მიზნობრივ დახმარებას

ოთარ შამუგიამ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონში კომპანიის MMC Agriculture თხილის ბაღი დაათვალიერა

ნინო თანდილაშვილი: „საქართველოს მთავრობა კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შესამცირებლად დაფინანსებას ზრდის“



სურსათის ეროვნული სააგენტო ლაბორატორიული კვლევისთვის აგრეტირებულია და პესტიციდების 500-მდე ნიმუშს აიღებს

- ოთარ შამუგია: „ფერმერების მხარდასაჭერად 15-ზე მეტ პროექტს ვახორციელებთ“
- სარწყავი არხების და ინფრასტრუქტურის მოწყობა სამინისტროს პრიორიტეტია
- შპს „საქართველოს მელიორაცია“ დმანისში, იაყუბლოს წყალსაცავზე 7 მლნ ლარის ღირებულების პროექტს ახორციელებს

ღვინის მწარმოებელმა შეიქმნა საოჯახო მარანმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლოს-ანჯელესში, გამოფენაზე „RAW Wine LA“ ქართული ღვინოები წარადგინა

„საფერავი - კეთილშობილი, მსოფლიო ღონის ვაზის ჯიმი“ - პრესტიჟული ამერიკული ღვინის ჟურნალი „Wine Enthusiast“ ქართული ღვინის სარეკლამო კამპანიას აგრძელებს

ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციის ახალი პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ღვინის ეროვნულ სააგენტოში შეხვედრა გაიმართა

საქართველოს გერმანელი ღვინის პროფესიონალები ეწვივნენ

ასოციაციის „ბუნებრივი ღვინო“ ორგანიზებით და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, თბილისში ბუნებრივი ღვინის ყოველწლიური ფესტივალი „ZERO COMPROMISE“ გაიმართა

„ღვინის კლუბის“ ორგანიზებით გამართულ „ახალი ღვინის ფესტივალი“ მთაწმინდის პარკში უმასპინძლა



გაიხსანით მუხნეირი

ივიათა მებრელიოვილი

ვირუსოლოგიის ლაბორატორიის უფროსი

უხუცეს ვეტერინარს, თამარ გავამულს მადლობას ვუხდით ათწლეულების განმავლობაში ცხოველებისა და, შესაბამისად, ადამიანების კანონმდებლობაზე წარუხერხებელი

ტყის ხანძრების პრევენციის ამერიკული კამპანია „Smokey Bear“ საქართველოშიც განხორციელდება

სასარგებლო რჩევები 14-15

შინაური ცხოველებისთვის შესაბამისი სარეკლამო მსენარეები

ბიომრავალფეროვნება 16

საქართველოს ბიომრავალფეროვნება

- რველბარძივი კონსერვირი - ქართული ნუში
- ფასუხანი - რველბარძივი მწიფი

„დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რისთვისაც საუკუნეები ვიბრძოდით. ეს ბრძოლა იყო რთული, გამოწვევებით და საფრთხეებით აღსავსე, ამ ბრძოლაში გმირულად დებდნენ თავს ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილები. ამ მონაპოვარს დაცვა სჭირდება. თითოეული ჩვენგანის ვალია, დავიცვათ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ დავიცვათ ჩვენი ღირებულებები, ვიყოთ ეკონომიკურად ძლიერი, განათლებული, გვექონდეს ბევრი მიღწევა მეცნიერებაში, სპორტში, კულტურაში. ჩვენი ქვეყანა ჩნსვლის და განვითარების შეუქცევად პროცესშია ჩართული. საქართველო ღირსეული ქვეყანა იყო, არის და იქნება. კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს“, - თათარ შამუგია



საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ის, რაც გვეამაყება და გვაერთიანებს

ქალაქი მცხეთა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო ქალაქ მცხეთაში წარმოდგენილი იყო კონცეფციით - „საქართველო ღვინის სამშობლო“



ღონისძიებაში 10-მდე ადგილობრივი ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა. წარმოდგენილი იყო ქართული ღვინისა და ვაზის კულტურის ისტორიასა და ტრადიციებთან დაკავშირებული ვიზუალური და საინფორმაციო მასალა, მათ შორის, ქართლის რეგიონის ღვინისა და ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება; ასევე, მოწყობილი იყო „სომელიეს კუთხე“, სადაც კონკურსის „საუკეთესო სომელიე 2021“ გამარჯვებულმა ჯაბა ძიმისტარაშვილმა პროფესიული დეგუსტაცია გამართა.

ღონისძიების ფარგლებში, ქალაქის ცენტრში მოწყობილ მოედანზე მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ქართული ღვინის გამოფენა-გაყიდვა; ზაფხუბისთვის მოწყობილი იყო გასართობ-შემეცნებითი სივრცე, გაიმართა საბაზუგო და ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების კონცერტები; გამოფენილი იყო სამხედრო ტექნიკა.

17:10 საათზე აფხაზეთის კაპელამ საქართველოს ჰიმნი შეასრულა. ღონისძიება დღის ბოლოს გალა-კონცერტით დასრულდა.





საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ის, რაც გვეამაყება და გვაერთიანებს

ქალაქი ოზურგეთი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის ღონისძიების ფარგლებში, სოფლის განვითარების სააგენტო მოქალაქეებს ქალაქ ოზურგეთში, ცენტრალურ მოედანზე მასპინძლობდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძემ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში მოწვობილი სივრცეები დაათვალიერა.

ოზურგეთის ცენტრალურ მოედანზე მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებულ პროდუქციას, მოწვობილი იყო ქართული ღვინის სადეგუსტაციო კუთხე; ჩატარდა კულინარიული მასტერკლასები.

ღონისძიების ფარგლებში, ზაფხუვისათვის შემეცნებითი სივრცე შეიქმნა, გაიმართა საბაჭვო სპექტაკლი, მოწვობილი იყო საგამოფენო სივრცე „რაც გვეამაყება და გვაერთიანებს“. ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით გაიმართა კონცერტები. გამოფენილი იყო თავდაცვის ძალების სამხედრო ტექნიკა.

17:10 სთ-ზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიული დრო საზეიმოდ აღინიშნა.



საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ის, რაც გვეამაყება და გვაერთიანებს

ქალაქი ზუგდიდი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ქალაქ ზუგდიდში აღინიშნა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, დაცული ტერიტორიების სააგენტო ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე მისულ სტუმრებს სხვადასხვა შემეცნებით-გასართობ აქტივობას სთავაზობდა.

ღონისძიებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე დაესწრო.

ღონისძიების ფარგლებში, დაცული ტერიტორიების სააგენტო სხვადასხვა სივრცით იყო წარმოდგენილი: სტუმრებს საქართველოს უნიკალურ დაცულ ტერიტორიებზე ვირტუალური მოგზაურობის შესაძლებლობა ჰქონდათ.

წარმოდგენილი იყო საქართველოს დაცული ტერიტორიების და ეროვნული პარკების საინფორმაციო სტენდები. მთელი დღის განმავლობაში, ცენტრალურ მოედანზე გაიმართა მუსიკალური და თეატრალური წარმოდგენები, საბაჭვო-გასართობი აქტივობები.

17:10 საათზე, იმ დროს, როდესაც 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, საქართველოს ეროვნული ჰიმნი შესრულდა.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი დოხტურიშვილთან ერთად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ მულანლოში იმყოფებოდა, სადაც სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შექმნილი მეურნეობა დაათვალიერა და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა.



ოთარ შამუგია: „ფერმერების მხარდასაჭერად 15-ზე მეტ პროექტს ვახორციელებთ“

„ვაგრძელებთ რეგიონებში მენარმებთან და ფერმერებთან შეხვედრებს; ჩვენი მიზანია, მათგან მივიღოთ ინფორმაცია არსებულ საჭიროებებზე და მიმდინარე მხარდაჭერა 15 სახელმწიფო პროექტში განვახორციელოთ შესაბამისი ცვლილებებით, ასევე, დავინიშნოთ ახალი პროგრამები, რომლებიც კიდევ უფრო მეტად იქნება მორგებული ფერმერების ინტერესებზე. მეურნეობა, სადაც ვიმყოფებით, არის კარგი მაგალითი სახელმწიფოს მხარდაჭერით მიღწეული წარმატების, როგორც ბალის გაშენებაში, ასევე გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობაში, რაც ნიშნავს,

რომ შექმნება ადგილზე დამატებითი ღირებულება და ფერმერს საშუალება ექნება, უფრო მეტი ღირებულებით, მეტი შემოსავლის მიღებით განახორციელოს ეს საქმიანობა, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. ასეულობით ფერმერი გვყავს დაფინანსებული და მხარდაჭერას ვაგრძელებთ“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ მულანლოში შპს „მწვანე სახლმა“, 2021 წელს, პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, 11 ჰა ნუშის ბაღი გააშენა. სახელმწიფოს თანადაფინანსება, დაახლოებით, 75,000 ლარია. რაც შეეხება საწარმოს, 2023 წლის ბოლოს ამოქმედდა, მისი შექმნისთვის



კომპანიამ „შელავათიანი აგროკრედიტის“ პროექტით ისარგებლა, სესხის ოდენობამ 500,000 ლარი შეადგინა. საწარმო, რომელსაც წელიწადში 100 ტონა ნუშის გადამამუშავების შესაძლებლობა აქვს, 11 ადგილობრივს ასაქმებს. კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე ახდენს.

კომპანიის „მწვანე სახლი“ დამფუძნებლის კობა თაბაგარის განცხადებით, სახელმწიფო პროგრამები მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იყო მათი საქმიანობის განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, 25 მლნ ლარზე მეტით თანადაფინანსებულია 4,628 ჰექტარზე ნუშის გაშენება, მათ შორის, ქვემო ქართლის რეგიონში 1,632 ჰექტარზე, 9,1 მლნ ლარით.

„შელავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებში, ნუშის გადამამუშავების მიზნობრივობით გაცემულია 6,4 მლნ ლარზე მეტი ღირებულების 23 სესხი, სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულმა თანადაფინანსებამ 600,000 ლარზე მეტი შეადგინა, მათ შორის, ქვემო ქართლის რეგიონში გაცემული შელავათიანი აგროკრედიტის ოდენობა 4,3 მლნ ლარს აღემატება.



ოთარ შამუგია: „სარწყავი არხების და ინფრასტრუქტურის მოწყობა ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია“



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია და ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი დოხტურიშვილი, ქვემო ქართლში, საქართველოს მელიორაციის მიერ ხრამ არხის სარწყავი სისტემის ერთ-ერთი წყალგამანაწილებლის რეაბილიტაციის შედეგებს ადგილზე გაეცნენ და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდნენ.

რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებით, 1385 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა.

როგორც ადგილობრივი ფერმერები აცხადებენ, სოფელს წლებია წყლის პრობლემა ჰქონდა და მისი მოგვარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

„სარწყავი არხების და ინფრასტრუქტურის მოწყობა ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. თქვენ იცით, რომ ამ მიმართულებით, ბოლო 10

წელია მნიშვნელოვან პროექტებს ვახორციელებთ, მხოლოდ ქვემო ქართლში, დაახლოებით 70 მლნ ლარის სარეაბილიტაციო ღონისძიებები არის განხორციელებული. ამ წლების განმავლობაში, დავასრულეთ წერეთლის არხის რეაბილიტაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ 1000-ზე მეტ ჰექტარ ფართობზე გარანტირებული წყალმომარაგება ექნებათ ფერმერებს. ეს ინფრასტრუქტურული პროექტები კიდევ უფრო მასშტაბური ხდება, რადგან ჩვენ გვყავს 4 საფინანსო ინსტიტუტი, დონორი და მომავალი

ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში, 300 მლნ დოლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდება“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

აღსანიშნავია, რომ წერეთლის არხის 2,5 კილომეტრიან მონაკვეთზე მოეწყო ტრაპეციული კვეთის მონოლითური რკინა-ბეტონის არხი, გამანაწილებელი კვანძები და წყლის ჩამკეტი ფარები; 2700 მეტრი სიგრძის საექსპლუატაციო გზა; სამანქანო და საფეხმავლე ხიდეები.

პროექტის ღირებულება 1 მლნ ლარია.



სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, შპს „საქართველოს მელიორაცია“ დმანისში, იაყუბლოს წყალსაცავზე 7 მლნ ლარის ღირებულების პროექტს ახორციელებს.

„უკვე მრავალი წელია, სახელმწიფო ხელს უწყობს ფერმერებს მეურნეობების შექმნასა და განვითარებაში და ეს მხარდაჭერა გრძელდება. წყალურუნველყოფა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, კლიმატის ცვლილების ფონზე. იაყუბლოს წყალსაცავის რეაბილიტაციაზე საქართველოს მელიორაცია 7 მილიონ ლარზე მეტს ხარჯავს. აღნიშნული



სამუშაოები წყალსაცავის გამართულად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. აღნიშნული წყალსაცავი სარწყავი წყლით დაახლოებით 3000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს ამარაგებს“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

მიმდინარე პროექტით დაგეგმილია კაშხლის წნევიანი ფერდის გამაგრება და მონოლითური რკინაბეტონის

3000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს ამარაგებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები 2024 წლის ბოლოს დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან დღემდე, ქვემო ქართლის რეგიონში დასრულდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 86 სარეაბილიტაციო პროექტი, ჯამური ღირებულებით 70.1 მლნ ლარი. შედეგად, რეგულარულ სარწყავში გადავიდა 57 300 ჰექტარი მიწის ფართობი, სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა 26 565 ჰექტარზე.

დღეისათვის რეგიონში მიმდინარეობს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 24,5 მლნ ლარის ღირებულების 11 პროექტი, რომელთა დასრულების შედეგად, 8730 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ, სოფელ ჩხორიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულთან ერთად, ფერმერ გიორგი გაბუნიას თხილის ბალი დაათვალიერა და იმ ფერმერებს შეხვდა, რომლებიც თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში იღებენ სახელმწიფოგან მიზნობრივ დახმარებას.

მინისტრის განცხადებით, სახელმწიფოს მხარდაჭერა მიმდინარე წელსაც მაქსიმალური იქნება; ფერმერებს 50-მდე აგრონომი თხილის ბაღების სწორად მოვლის კუთხით გაუწევს საჭირო კონსულტაციებს, პროცესში ჩართულია თხილის მწარმოებელთა ასოციაცია.

„დღეს ფერმერმა ის რეალობა უნდა გაითვალისწინოს, რაც კლიმატის ცვლილებით შეიქმნა. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაღების სწორად მოვლა. ცალკე გამოწვევაა აზიური ფაროსანა. ამ მიმართულებითაც საქართველოს მთავრობა წელსაც მაქსიმალურს გააკეთებს. ინდუსტრიულ ბაღში 2,5-3 ტონაა მოსავლიანობა; მცირე ფერმერებსაც შეუძლიათ, გააორმაგონ მოსავალი, რაც გაცილებით მეტ შემოსავალს მისცემს თითოეულ ოჯახს და საბოლოო ჯამში ქვეყანას. მცირე მენარმეების მიერ მოსავლიანობის

გაზრდის შემთხვევაში, თხილის ექსპორტიორებში მესამე ადგილს დაიკავებთ. სწორი მოვლით ამის მიღწევა შეგვიძლია, სახელმწიფო პროგრამაც სწორად ამას უწყობს ხელს. მთავარია, რომ ყველამ ერთად, უკეთესი შედეგის მისაღწევად, ძალები გავაერთიანოთ“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

შეხვედრაზე ფერმერებმა სახელმწიფოს მხრიდან განუღებ დახმარებაზე გაამახვილეს ყურადღება და აღნიშნეს, რომ არსებული პროგრამებით ბაღების მოვლის ხარჯები 60-70 პროცენტით შეუმცირდათ. ფერმერებმა ასევე ისაუბრეს თხილის ბაღების სწორად მოვლის კუთხით სამინისტროს მხრიდან ცოდნის ამალღებისთვის განუღებ მხარდაჭერის მნიშვნელობაზე.

„თანამიმდევრული და მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები საშუალებას აძლევს ჩვენს ფერმერებს, რომ ადგილობრივ და მსოფლიო ბაზარს მაღალი ხარისხის და კონკურენტუნარიანი პროდუქცია შესთავაზონ, რაშიც სამინისტრო მაქსიმალურად არის ჩართული. გარდა იმ მხარდაჭერისა, რაც მოიცავს ბრძოლას მავნებლებთან და სუბსიდირებას, ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამები, რაც აუცილებელია ბაღის სწორად მოვლისათვის“, - განაცხადა სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი გუგუჩიამ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მეთხილე ფერმერებისთვის აგრობა-რათეზე ქულების დარიცხვის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. მიმდინარე წლის 30 აპრილის ჩათვლით პერიოდში თხილის კადასტრში დარეგისტრირებულ ყველა ფერმერს შესაბამისი ქულები დაერიცხება.

პროგრამის ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლის 31 მარტის მდგომარეობით, 40,000 ჰექტარზე მეთი თხილის ბაღი რეგისტრირებული. დარიცხულია 15 მლნ ლარზე მეტის ეკვივალენტი აგროქულა.

ოთარ შამუგია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათში მიზნობრივი ტრენინგის მონაწილე მეთხილე ფერმერებს შეხვდა. მინისტრმა საქართველოს მასშტაბით ფერმერებისათვის მიზნობრივი ტრენინგების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის აქტივობა ფერმერებს საშუალებას აძლევს, სწორად წარმართონ თხილის მოვლის პროცესი და მაღალი ხარისხის პროდუქცია მიიღონ.

„სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით მიმდინარე ტრენინგების მიზანია, დარგობრივი

ცოდნა და რეალურ გამოწვევებთან დაკავშირებული ინფორმაცია მიანოდოს მეთხილე ფერმერებს, რათა მათ შეძლონ მოსავლის როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

თხილის მწარმოებელთა ასოციაციის დირექტორის გიორგი თოდუას განცხადებით, სწავლების პროცესში 10 ათასობით ფერმერია ჩართული, რომლებიც თხილის ბაღებში შესაბამისი ვადების გათვალისწინებით გასატარებელი აგროტექნიკური სამუშაოების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციას და რეკომენდაციას იღებენ.

„ფერმერებს ინფორმაციას ვაწვდი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია წამლობების აგროვადებში ჩართება. მოსავლის აღების პროცესში, ფერმერმა, მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა აიღოს მოსავალი, სათანადოდ გააშროს და დაასაწყობოს. ამ ნაბიჯების გათვალისწინება, საბოლოოდ, მაღალი ხარისხის პროდუქციას მოგვცემს“, - განაცხადა გიორგი თოდუამ.



ოთარ შამუგიამ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონში კომპანიის MMC Agriculture თხილის ბალი დაათვალიერა და იმ მეთხილე ფერმერებს შეხვდა, რომლებიც ინდუსტრიული თხილის ბაღების მფლობელები არიან.

„ჩვენ ხშირად ვხვდებით ფერმერებს და მათგან ვისმენთ ინფორმაციას არსებული საჭიროებების შესახებ. საქართველოში თხილის სექტორს ძალიან დიდი პოტენციალი აქვს; ჩვენი მიზანია, ფერმერებს მაქსიმალურად დაუჭიროთ მხარი როგორც ფინანსურ ნაწილში, ასევე საჭირო ცოდნაზე წვდომის კუთხით. ხარისხიანი მოსავლით ფერმერები უფრო მეტად კონკურენტუნარიანები იქნებიან და მეტ შემოსავალს მიიღებენ. უნდა აღინიშნოს, რომ შარშან, კლიმატური პირობების მხრივ, საკმაოდ რთული წელი გვქონდა, ამიტომაც ხარისხის კუთხით გარკვეული გამოწვევები იყო. მთლიანობაში, შარშან, მოსავალი 5 ათასი ტონით მეტი იყო, ვიდრე წინა წელს, წელს კი, გაცილებით უკეთესს ველოდებით. იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფო პროგრამები და ფერმერების აქტიურობა, ერთობლივად კარგ შედეგს მოგვცემს“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

კომპანიის MMC Agriculture ქართულ-ებრაული ინვესტიციით 300 ჰექტარზე მეტ ფართობზე აქვს



გაშენებული თხილის ბაღი. 50ჰა-ზე თხილის ბაღის გაშენება 50,000 ლარით დაფინანსდა სახელმწიფო პროგრამით „დანერგე მომავალი“. როგორც კომპანიის მფლობელი პაატა სირაძე აცხადებს, ამავე მიზნობრიობით ისარგებლა შეღავათიანი აგროკრედიტით, რომლის ოდენობაც 1,5 მლნ ლარს აღემატება.

აღსანიშნავია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, 3,291 ჰექტარზე ახალი მრავალწლოვანი ბაღის გაშენება თანადაფინანსებულია 43 მლნ ლარით, მათ შორის, თხილის ახალი ბაღების გაშენება თანადაფინანსებულია 505 ჰა-ზე 1,2 მლნ ლარით. მეზაღობის განვითარების მიზნობრიობით სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში გაცემულია 123 მლნ ლარზე მეტი შეღავათიანი აგროკრედიტი, მათ შორის თხილის გაშენების მიზნობრიობით გაცემულია 9,1 მლნ ლარი.

სამეგრელოს რეგიონში თერთმეტმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა 1,2 მლნ ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა 50%-იანი თანადაფინანსებით შეიძინა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ აბაშის მუნიციპალიტეტში „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში შეძენილი ტექნიკა და იმპლემენტები დაათვალიერა.

„მსხვილი ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა აგროკრედიტით ხელმისაწვდომი იყო. მცირე მენარმეებისგან მხარდაჭერის პროგრამაზე იყო მოთხოვნა და ასეთი პროგრამაც შემუშავდა. ფერმერები, რომლებიც გაერთიანდებიან და შექმნიან კოოპერატივს, ტექნიკის შესაძენად მიიღებენ 50 პროცენტით თანადაფინანსებას. მნიშვნელოვანია ფერმერების აქტიურობა და სახელმწიფო მზადაა მხარდაჭერისთვის“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს „ენერი 2023“, „აგრო გეზატი 2024“ და „სუვენა 2024“, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ჯამურად, 395,327 ლარის ღირებულების ტრაქტორებისა და იმპლემენტების შეძენა 197, 664 ლარით დაუფინანსდა.

აღნიშნული პროგრამით, 2023-2024 წლებში, საქართველოს მასშტაბით 62 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს დაუფინანსდა 7,275,591 ლარის ღირებულების 331 ერთეული გამწვევი ტექნიკისა და იმპლემენტების შეძენა ღირებულების 50%-ით, 3,631,281 ლარით. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 2023-2024 წლებში, თერთმეტმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა სახელმწიფოგან, 62 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (ტრაქტორი და იმპლემენტები) შესაძენად, ღირებულების 50%-ის (640,000 ლარზე მეტი) თანადაფინანსება მიიღო; მათ შორის, აბაშის მუნიციპალიტეტში, პროგრამის ფარგლებში, შვიდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს 423,273 ლარით დაუფინანსდა 43 ერთეული ტექნიკის (ტრაქტორი და იმპლემენტები) შეძენა.

2016-2023 წლებში ქვეყნის მასშტაბით, ჯამში, 7500 ერთეული, 440 მლნ ლარზე მეტი ღირებულების, სხვადასხვა სიმძლავრის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და იმპლემენტებია შეძენილი. სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 122 მლნ ლარს აღემატება.



ნირო თანდილაშვილი: „საქართველოს მთავრობა კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კათასტროფების რისკის შესამცირებლად დაფინანსებას ზრდის“



კონტრიბუციაზე და მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე გაამახვილა ყურადღება.

„კლიმატის დრამატული ცვლილებების ფონზე, აღნიშნული პროგრამა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. სახელმწიფოს მხრიდან კონტრიბუცია მთავრდება; წელს დაფინანსება გაიზარდა და 30 მილიონი ლარი შეადგინა. დაიგეგმა ახალი აქტივობები, მათ შორის, დამატებითი ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების შექმნა. სახელმწიფო ბიუჯეტი, ძირითადად, ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას მოხმარდება; უკვე აშენდა ფოთის რეგიონული ოფისი, ქუთაისში ახალი ოფისის მშენებლობა მიმდინარეობს. ბოლო წლებში, დასავლეთ საქართველოში, არაერთი ბუნებრივი კათასტროფა მოხდა, ამიტომაც, რეგიონული ოფისების მოწყობა ჩვენთვის პრიორიტეტია. სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში სხვა აქტივობების განხორციელებაც იგეგმება,

მათ შორის, გეოლოგიური საფრთხეების მონიტორინგის სისტემის სრულყოფა“, - აღნიშნა ნირო თანდილაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის „კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კათასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, საქართველოში არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებს 79 ახალი სადგური და საგუმაგო დაემატა, შექმნილია 15 აგრომეტეოროლოგიური სადგური, 11 ლოკაციაზე განთავსებულია გეოლოგიური მონიტორინგის სისტემა, კლიმატური საფრთხეების შეფასებისა და მოდელირებისთვის შექმნილია საფრთხეების რუკები და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმები, მიმდინარეობს კლიმატური კათასტროფების რისკის საინფორმაციო სისტემის შემუშავება, 15 ლოკაციაზე შედგება წყალდიდობისგან დამცავი ინფრასტრუქტურა, 11 ადგილობრივ მუნიციპალიტეტში კი, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საინფორმაციო კამპანიები და საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება.

საქართველოში შვეიცარიის საელჩოს სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობის რეგიონული დირექ-

ტორის ბარბარა ბონის განცხადებით, შვეიცარიის მთავრობა მოხარულია, რომ საქართველოში მიმდინარე პროგრამის პროგრესს ხედავს.

„პროექტის წარმატებულად აღსრულების გასაღები კოოპერაციაა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კათასტროფების რისკის შესამცირებლად სახელმწიფო ინფრასტრუქტურულ გაძლიერებას და თანამშრომლობის გაძლიერებას გააგრძელებს, ჩვენი მხრიდან კი, შვეიცარიის მთავრობა გაზრდის დაფინანსებას“, - აღნიშნა ბარბარა ბონიმ.

პროგრამა „კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კათასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“, რომლის საერთო ბიუჯეტი 74 მილიონ აშშ დოლარია, საქართველოს მთავრობის, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), კლიმატის მწვანე ფონდის (CCF), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით, 2020 წლიდან ხორციელდება. შვიდწლიანი პროგრამის მიზანი საქართველოს მოსახლეობაზე, საარსებო გარემოსა და ინფრასტრუქტურაზე კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კათასტროფების უშუალო ზემოქმედების შემცირებაა.

შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და შინაგან საქმეთა სამინისტროების და მათი მმართველობის ქვეშ მყოფი უწყებების, ეროვნული უშიშროების საბჭოს, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



ტემპერატურის მატებასთან ერთად, აზიური ფაროსანა, მისი ბიოლოგიიდან გამომდინარე, საცხოვრებელი სახლებისა და მიტოვებული შენობებიდან გამოდის და ტყის პერიმეტრისკენ მიგრირებს. ზამთრის ძილიდან გამოსული აზიური ფაროსანა იწყებს მცენარით კვებას და ზიანს აყენებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს.

რიცხოვნობის დადგენის მიზნით, პირველ ეტაპზე ჩატარდა აზიური ფაროსანის მონიტორინგი. წამლობის ღონისძიებები იგეგმება და ხორციელდება იმ ტერიტორიებზე, სადაც მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, მავნებლის დიდი რაოდენობა დაფიქსირდა. გეგმის თანახმად, წლის განმავლობაში, 94 000 პეტრამდე ტერიტორია დამუშავდება; დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში განთავსდება 50 000-მდე სპეციალური სადგური.

ზიანის აცილების მიზნით, უმნიშვნელოვანესია ბრძოლის ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა, რაც გულისხმობს საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთებში მავნებლის მექანიკური ღონისძიებით განადგურებას და თხილის ბაღების მოვლას შესაბამისი ფენოკალენდარული სქემის მიხედვით.

ფენოკალენდარული სქემისა და მექანიკური ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდსა და youtube-ზე: <https://nfa.gov.ge/Ce/Files/ViewFile/1187>

სურსათის ეროვნული სააგენტო დაბოროტორიული კვლევისთვის აბროქიმიკატებისა და პესტიციდების 500-მდე ნიმუშს აიღებს

თხილის წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული აგროქიმიკატებისა და პესტიციდების ყველა სარეალიზაციო ობიექტი ვალდებულია განახორციელოს სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული პროდუქციის რეალიზაციის სისტემური აღრიცხვა და დაიცვას რეალიზაციის პირობები.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა, გიორგი იაკობაშვილმა და ზურაბ ლიპარტიამ, თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამაში ჩართული სპეციალიზებული სარეალიზაციო ობიექტების კონტროლის მექანიზმები აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს.

„აგროქიმიკატებისა და პესტიციდების სარეალიზაციო ობიექტების კონტროლის მექანიზმის სრულყოფა მნიშვნელოვანია როგორც თხილის წარმოების, ასევე ფაროსანის საწინააღმდეგო ღონისძიებების ეფექტიანობის გასაზრდელად. თხილის დაზიანებას, ფაროსანასთან ერთად, იწვევს სხვა მავნებელ-დაავადებებიც,

რომელთა დამარცხება შესაძლებელია ხარისხიანი ქიმიკატებით“, - განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ზურაბ ლიპარტიამ.

აღსანიშნავია, რომ მეთილე ფერმერებს პროგრამის ფარგლებში მიღებული ვაუჩერებით სარგებლობა შეუძლიათ ისეთ სარეალიზაციო ობიექტებში, რომელთაც მინიჭებული აქვთ სურსათის ეროვნული სააგენტოს აღიარება. გასული წლის მსგავსად, სააგენტოს ინსპექტორები სახელმწიფო კონტროლს წელსაც აღიარების მქონე ყველა სპეციალიზებულ მაღაზიაში განახორციელებენ; ლაბორატორიული კვლევისთვის დაგეგმილია 500-მდე ნიმუშის აღება.

თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მოქალაქეებისათვის გაიცემა სუბსიდია თხილის მოვლა-მოყვანისთვის საჭირო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესაძენად; სუბსიდის მისაღებად, პირს საკუთარში ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში უნდა გააჩნდეს თხილის ბაღი, ჯამურად, არანაკლებ 0.2 ჰა, არაუმეტეს 3 ჰა; სუბსიდის მოცულობა განისაზღვრება 500 ლარით 1 ჰა თხილის ბაღზე გადაანგარიშებით. სახელმწიფო პროგრამის მიზანია საქართველოში თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობა თხილის ბაღების მესაკუთრეების სტიმულირების გზით.



მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სურსათის უვნებლობის სფეროში 10 000-მდე სახელმწიფო კონტროლი განახორციელა

ინსპექტირება განხორციელდა საბავშვო ბაღებისა და სკოლების კვების ბლოკებში, ხორცისა და რძის პროდუქტების სარეალიზაციო, ასევე, ნედლი რძის თერმული დამუშავების ობიექტებში, ცხოველის/ფრინველის სასაკლაოებზე, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში და ა.შ.

აღინიშნა შემდეგი შეუსაბამობები: სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა, ხორცი განმრთელობის ნიშანდების გარეშე; ტექნოლოგიური პროცესის, ეტიკეტირების წესისა და რეალიზაციის ვადების დარღვევა.

სახელმწიფო კონტროლის შედეგად, სულ გამოვლინდა 971 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

მონიტორინგის ფარგლებში, აღებულია სურსათის/სასმელის წყლის 817 ნიმუში/სინჯი.

პირველ კვარტალში, სურსათის ლაბორატორიული კვლევისას არ გამოვლენილა არც ერთი დარღვევა: პესტიციდების ნარჩენები მცენარეულ და ცხოველურ სურსათში (შემომწადა 72 ნიმუში); ტრანსცხიმები (შემომწადა 21 ნიმუში); გმო (შემომწადა 10 ნიმუში); ლისტერია (შემომწადა 50 ნიმუში); ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა (შემომწადა 41 ნიმუში); კალციუმის შემცველობა ხორცის პროდუქტებში (შემომწადა 15 ნიმუში).

რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრისთვის აღებული 60 ნიმუშიდან დარღვევა გამოვლინდა მხოლოდ 1 ნიმუშში;

ბრუცელაში აღმოჩნდა ნედლი რძის 2 ნიმუში, რის შესახებაც ეცნობა ბიზნესოპერატორს და შესაბამისი გამოკვლევის დასრულებამდე აეკრძალა რძის მიღება.

მიმდინარე წლის განმავლობაში სურსათის ეროვნულ სააგენტოს სურსათის/სასმელის წყლის 6000-ზე მეტი ნიმუშის/სინჯის აღება აქვს დაგეგმილი.



2024 წელს გარემოსდაცვითი ფაქტორების დეპარტამენტი გეგმურად რეგულირების 94 ობიექტს შეამოწმებს



მიმდინარე წლის განმავლობაში, დეპარტამენტი გეგმურად რეგულირების 94 ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობას შეამოწმებს. შესამოწმებელი რეგულირების ობიექტების რაოდენობა განისაზღვრა მეთოდოლოგიის შესაბამისად - შესამოწმებელი ობიექტების მინიმალური რაოდენობის, ასევე ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის სამოქმედო ტერიტორიის, ინსპექტირების რაოდენობის (საქმიანობის მიმართულებების მიხედვით), შემოწმებათა სავარაუდო ხანგრძლივობის, ინსპექტირებზე დაკისრებული სხვა საქმიანობებისა და დავალებების მოცულობის გათვალისწინებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დაგეგმვის პროცესში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთ საქმიანობას ან ტექნოლოგიურ პროცესს გააჩნია პოტენციურად უფრო ძლიერი მავნე ზემოქმედება გარემოზე და საჭიროებს შედარებით ინტენსიურ კონტროლს.

რეგულირების ობიექტების გეგმურ შემოწმებათა 2024 წლის გრაფიკის მიხედვით, მიმდინარე წელს რეგულირების 94 ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობა შემოწმდება. მათ შორის, დაგეგმილია 75 გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას დაქვემდებარებული ობიექტის, 4 ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელის, 6 სამონადირეო მეურნეობის, თევზჭერის ლიცენზიის მფლობელის, 7 სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელის, 2 კი „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელის საქმიანობის შემოწმება.

შემოწმების გეგმის დამტკიცებისას, შესამოწმებელი ობიექტების შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრა ტერიტორიული პრინციპი - ობიექტები შემოწმდება დასავლეთ საქართველოში.

რეგულირების ობიექტების გეგმურ შემოწმებათა 2024 წლის გეგმა გამოქვეყნებულია დეპარტამენტის ვებგვერდზე www.des.gov.ge.

აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, 2023 წლის განმავლობაში, განხორციელდა რეგულირების 414 ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის გეგმური და არაგეგმური შემოწმება. მათ შორის, 121 გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, ან გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას დაქვემდებარებული ობიექტის, 3 ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელის, 13 სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელის, 7 სამონადირეო მეურნეობის, თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის მფლობელის საქმიანობის შემოწმება, 20 გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობების იდენტიფიცირების მიზნით სასოფლო-სამეურნეო ნათესებიდან აღებული ნიმუშების შემოწმება და 282 საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების ინსპექტირება.

284 რეგულირების ობიექტს წარედგინა ადმინისტრაციული მიწერილობები გამოვლენილი დარღვევების გონივრულ ვადაში აღმოსაფხვრელად, სავალდებულო ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებისაგან თავის შეკავების მიზნით. მათ შორის, 24 რეგულირების ობიექტს კი ადმინისტრაციული მიწერილობა დარღვევის სრულ აღმოფხვრამდე საქმიანობის შეზღუდვის (სრული ან ნაწილობრივი) მოთხოვნით წარედგინა.

რეგულირების ობიექტების ინსპექტირების მთავარი შედეგი ისაა, რომ ისინი ცდილობენ გამოვლენილი დარღვევები აღმოფხვრან და მათი საქმიანობა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას (გარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლისა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში. დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა; გარემოს დაბინძურების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების, მიმდინარე

საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების კონტროლი; კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მიერ გარემოს დაცვის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელება.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების შესაბამისად, დეპარტამენტი, ეფექტურ გარემოსდაცვით სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ორი ძირითადი მიმართულებით - უწყვეტი (24-საათიანი) გარემოსდაცვითი პატრულირება და სწრაფი რეაგირება; ასევე - გარემოსდაცვითი ინსპექტირება.

გეგმური ინსპექტირება ეფექტური გარემოსდაცვითი კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია და მას დეპარტამენტი სწორედ რეგულირების ობიექტების გეგმურ შემოწმებათა გრაფიკის შესაბამისად ახორციელებს. მეთოდოლოგია ხელს უწყობს დეპარტამენტს, განსახორციელებელი შემოწმებები ეფუძნებოდეს სისტემურ დაგეგმვას, ეკოლოგიური და სხვა რისკების ანალიზის გათვალისწინებით. აღნიშნული მეთოდოლოგიით ხდება სწორედ პრიორიტეტების დადგენა, სხვადასხვა ალგორითმის გამოყენებით. რისკის შეფასება კი

აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას დაქვემდებარებული ობიექტებისთვის ძირითად პრიორიტეტებად განისაზღვრა ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ობიექტები; ჰიდროელექტროსადგურების განთავსება და ობიექტები, რომელთა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულების შემოწმება არ განხორციელებულა. ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიისა და თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის მქონე ობიექტებისთვის კი, პრიორიტეტად განისაზღვრა ობიექტები, რომლებიც 2 წლის განმავლობაში არ შემოწმებულა.

სოჭის გირჩითა და CITES-ის დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით სარგებლობის ლიცენზიებით განსაზღვრული პირობების შესრულების





ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში ბუნებრივი ღვინის საერთაშორისო გამოფენა „Real Wine Fair“ გაიმართა, რომელშიც ქართული ღვინის მწარმოებელი 7 კომპანია მონაწილეობდა



გამოფენა „Real Wine Fair“ ყოველწლიურად იმართება და ბუნებრივი მეღვინეობის სფეროში წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად არის მიჩნეული. ღვინის სიყვარულს მსოფლიოში ცნობილი ნატურალისტი მეღვინეები, ღვინის იმპორტიორები, მედიის წარმომადგენლები და სომელიეები ესწრებიან. გამომდინარე აქედან, London Wine Fair წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქვეყნის ღვინის მწარმოებლებისთვის ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიების, პროდუქციის პოპულარიზაციისა და ექსპორტის გაზრდის კუთხით.

მიმდინარე წელს გამოფენაში მსოფლიოს 20 ქვეყნის ბუნებრივი ღვინის მწარმოებლები მონაწილეობდნენ, მათ შორის, ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, აშშ, გერმანია და სხვა.

გამოფენას დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს დესპანი გიორგი საგანელიძე დაესწრო.

გამოფენას დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს დესპანი გიორგი საგანელიძე დაესწრო. დიდი ბრიტანეთი ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი სტრატეგიული საექსპორტო ბაზარია და, შესაბამისად, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიება აქტიურად ხორციელდება.



ღვინის მწარმოებელმა შვიდმა საოჯახო მარანმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლოს-ანჯელესში, გამოფენაზე „RAW Wine LA“ ქართული ღვინოები წარადგინა



გამოფენის სტუმრები ქართული მარნების: „იგოს ღვინო“, „მუშკუდიანის მარანი“, „პატარიძის რაჭული“, „ზურაბ კვიციანიშვილის ვენახები“, „ანაპა“, „გოცას ღვინო“, „იბერიელი“ ღვინოებს და ქართული ღვინის წარმოების უძველეს ტრადიციებს, კულტურასა და ისტორიას გაეცნენ.

გამოფენაზე „RAW Wine“ (The Artisan Wine Fair) მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიკური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენის ორგანიზატორია ცნობილი ღვინის ექსპერტი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი. მსგავს პრესტიჟულ საერთაშორისო გამოფენაზე ქართული ღვინის წარდგენით იზრდება ქართული ღვინის ცნობადობა, რაც პოტენციური იმპორტიორების მოძიებისა და ექსპორტის ზრდის შესაძლებლობას იძლევა.

მიმდინარე წელს, გამოფენაში 14 ქვეყნის 100-მდე მწარმოებელი მონაწილეობდა,

მათ შორის, ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, გერმანია, იტალია, კანადა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ აშშ წარმოადგენს ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციის ღონისძიებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

პრეზენტაცია-დეგუსტაციებსა და საერთაშორისო გამოფენებზე ქართული ღვინის წარდგენის პარალელურად, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით აშშ-ში გააქტიურდა მედია კამპანია: სარეკლამო კლიპი მომზადდა ამერიკული ტელეკომპანია CNN-ის ეთერისთვის, აშშ-ის ერთ-ერთმა ყველაზე რეიტინგულმა ტელემუხწყებელმა CBS-მა ქართული ღვინის შესახებ ვრცელი სიუჟეტი „Ancient Vines“ (უძველესი ვაზი) მოამზადა, საიმიჯო სტატიები ქვეყნდება სხვადასხვა ბეჭდურ თუ ელექტრონულ გამოცემაში (CNN, The Wall Street Journal, Men's Journal, Imbibe, Wine-Searcher, SOMM TV, Forbes, Wine Enthusiast).



ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Wijnimport Bleeker“ ორგანიზებით, ნიდერლანდების სამეფოს დედაქალაქ ამსტერდამში ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა



ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყემალაძე, საქართველოს საგანგებო და სრულფუნქციონირი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში დავით სოლომონია და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მრჩეველი გიორგი თევზაძე დაესწრნენ.

„ქართული ღვინის ცნობადობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის ღონისძიებების გამართვა. ქართველ მეწარმეებს შესაძლებლობა ეძლევათ, ჩაატარონ ღვინის დეგუსტაცია, მასტერ-კლასები და პრეზენტაციები, რაც მონვეულ სტუმრებს ინფორმირებულს ხდის ქართული ღვინის, მისი ისტორიის,

კულტურისა და ღვინის თანამედროვე ინდუსტრიის შესახებ“, - აღნიშნა დავით ტყემალაძემ.

ქართული ღვინის დეგუსტაციას, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის 18 კომპანიის 150 დასახელების ღვინო, ადგილობრივი ღვინის ექსპერტები, სომელიეები, კომერციული, HoReCa და მედია სექტორის წარმომადგენლები, ჯამში 150-ამდე ადამიანი დაესწრო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება წარმოადგენს. სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, მიზანმიმართულ სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს ახორციელებს.

WINE ENTHUSIAST



„საფერავი - კეთილშობილი, მსოფლიო დონის ვაზის ჯიშ“ - პრესტიჟული ამერიკული ღვინის შურნალი „Wine Enthusiast“ ქართული ღვინის სარეკლამო კამპანიას აგრძელებს

ქართული ღვინის სარეკლამო კამპანიის ფარგლებში, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ პრესტიჟულ ამერიკულ ღვინის შურნალთან „Wine Enthusiast“ თანამშრომლობა გასული წლის ბოლოს დაიწყო. თანამშრომლობა 2024 წელსაც გრძელდება.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, შურნალის მანისის თვის ონლაინ გამოცემაში ფოკუსი საფერავზე გაკეთდა.

„საფერავი - მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ყურძნის ჯიშისგან დამზადებული ღვინო ამერიკაში ყველაზე მზარდი კატეგორიაა იმპორტირებულ ღვინოებს შორის მას შემდეგ, რაც CBS-ის გადაცემა „60 წუთი“ ღვინის სამშობლოს, საქართველოს მიეძღვნა; და ასევე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ქართული სამზარეულო აშშ-ში უფრო ცნობილი გახდა (The New York Times-მა 2024 წელს ქართული რესტორანი Chama Mama დაასახელა ტოპ 100 რესტორანში), შესაძლოა, საფერავიც მალე უფრო პოპულარული გახდება... როდესაც საფერავის ჭიქას ასწვთ, მხოლოდ

მისი არომატებით არ დატკბებით, თქვენ შესვამთ 8000-წლიან ისტორიას ღვინოში“, - აღნიშნულია სტატიაში, რომელშიც საუბარია საფერავის წარმოშობის ისტორიასა და მის ჯიშურ მახასიათებლებზე, საფერავის როლზე ღვინის თანამედროვე ინდუსტრიაში და მის პერსპექტივებზე ღვინის გლობალურ ბაზარზე. <https://www.wineenthusiast.com/saperavi-georgian-grape/>

კამპანიის ფარგლებში, შურნალში „Wine Enthusiast“ გასულ წელს გამოქვეყნდა სტატია სათაურით „გაიყვანეთ საქართველო, მეღვინეობის სამშობლო“.

2024 წელს, „Wine Enthusiast“ ქართული ღვინის შესახებ სარეკლამო-მარკეტინგული ხასიათის კამპანიას როგორც ბეჭდურ, ისე ონლაინ-გამოცემებში გააგრძელებს. „Wine Enthusiast“ 1979 წელს დაარსდა; დღეს, ის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ღვინის შურნალი და ღვინის ონლაინ მედია პლატფორმაა აშშ-ის ბაზარზე, 5 მილიონიანი აუდიტორიით.

აღსანიშნავია, რომ აშშ წარმოადგენს ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციის ღონისძიებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პრეზენტაცია-დეგუსტაციებსა და საერთაშორისო გამოფენებზე ქართული ღვინის წარდგენის პარალელურად, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, აშშ-ში გააქტიურდა მედია კამპანია: სარეკლამო კლიპი მომზადდა ამერიკული ტელეკომპანია CNN-ის ეთერისთვის, აშშ-ის ერთ-ერთმა ყველაზე რეიტინგულმა ტელემუხწყებელმა CBS-მა ქართული ღვინის შესახებ ვრცელი სიუჟეტი „Ancient Vines“ (უძველესი ვაზი) მოამზადა, საიმიჯო სტატიები ქვეყნდება სხვადასხვა ბეჭდურ თუ ელექტრონულ გამოცემაში (CNN, The Wall Street Journal, Men's Journal, Imbibe, Wine-Searcher, SOMM TV, Forbes, Wine Enthusiast).





ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციის ახალი პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ღვინის ეროვნულ სააგენტოში შეხვედრა გაიმართა

„ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“ საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წლის 8 აპრილს დაამტკიცა და ძალაში 22 აპრილიდან შევიდა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლაძემ შეხვედრის მონაწილე საქართველოში მოქმედ მეღვინეობის ასოციაციების წარმომადგენლებს პროგრამის მიზანი და პირობები გააცნო.

„პროგრამის მიზანია, ადგილობრივ ბაზარზე ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის

ლონისძიების ფინანსური მხარდაჭერა იყოს მეტად მოქნილი და გამჭვირვალე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს მასშტაბით დაგეგმილი ქართული ღვინის ფესტივალები, თემური გამოფენები, კონკურსები და საგანმანათლებლო ღონისძიებები“, - აღნიშნა ლევან მეხუზლაძემ.

პროგრამაში დეტალურად არის განვიხილეს გამოფენა-ფესტივალების, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზა-

ტორების თანადაფინანსების პირობები და ანაზღაურების ოდენობა, იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომლებიც უნდა წარმოადგინონ პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღების მსურველმა იურიდიულმა პირებმა (<https://wine.gov.ge/Ce/News/37104>)

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინის და სხვა ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერით, არაერთი ღონისძიება მთელი საქართველოს მასშტაბით იმართება.



საქართველოს გერმანელი ღვინის პროფესიონალები ეწვივნენ



ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი გერმანული მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations“ ორგანიზებით, საქართველოს გერმანელი ღვინის პროფესიონალების 10-კაციანი ჯგუფი სტუმრობდა.

ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ სომელიები, კომერციული სექტორის და მედიის წარმომადგენლები.

5-დღიანი ტურის ფარგლებში, სტუმრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ქართლსა და კახეთში ეწვივნენ, დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო.

ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და საქსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, გერმანულ კომპანიასთან „ff.k Public Relations“ ღვინის ეროვნული სააგენტო თანამშრომლობა 2021 წლიდან დაიწყო. აქტიური პოპულარიზაციის კამპანია მიმდინარე ნელსაც გრძელდება.

ევროპაში ღვინის უდიდესი იმპორტიორი ქვეყანა გერმანია ქართული ღვინის სტრატეგიული ბაზრების ჩამონათვალს 2020 წლიდან დაემატა და საქსპორტო ქვეყნების ათეულში სტაბილურად დაიმკვიდრა ადგილი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოდან გერმანიაში 300 ათასი ლიტრი ღვინოა ექსპორტირებული, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 31% შეადგინა.



ასოციაციის „ბუნებრივი ღვინო“ ორგანიზებით და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, თბილისში ბუნებრივი ღვინის ყოველწლიური ფესტივალი „ZERO COMPROMISE“ გაიმართა



ორდღიან ფესტივალში მონაწილეობდნენ ასოციაციის წევრი 100-მდე ადგილობრივი და 25-მდე სხვადასხვა ქვეყნის მარნები, მათ შორის, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, ავსტრიიდან, იაპონიიდან, ავსტრალიიდან და სლოვენიიდან. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ლევან მეხუზლა ფესტივალის მონაწილე მარნების პროდუქციას გაეცნო.

„ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული

მხარდაჭერით, საქართველოს მასშტაბით არაერთი ღვინის ფესტივალი, გამოფენა, კონკურსი თუ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიება იმართება. „ZERO COMPROMISE“ ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ფესტივალია, სადაც ბევრი და საინტერესო მარანია წარმოდგენილი საკუთარი პროდუქციით. ფესტივალი ემსახურება ქართული ღვინის ისტორიის, კულტურის, ტრადიციებისა და თანამედროვე მდგომარეობის წარმოჩენას, სამომხმარებლო კულტურის გაზრდას და ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას“, - აღნიშნა ლევან მეხუზლაძემ.

ფესტივალში მონაწილე მევენახე-მეღვინეები თავიანთ ვენახებში სისტემურ პრეპარატებს, მინერალურ სასუქებს და ჰერბიციდებს არ იყენებენ, ღვინოს ყოველგვარი ინდუსტრიული დანამატების გარეშე ამზადებენ. სწორედ ასე დაყენებულ ღვინოს ეწოდება „ბუნებრივი ღვინო“ და ფესტივალზე იმ ადამიანებს აერთიანებს, ვინც ღვინოს ტრადიციული წესით აყენებს. ფესტივალის

ერთ-ერთი მიზანია ქართული ბუნებრივი ღვინის ცნობადობის გაზრდა და მსოფლიო ბაზრებზე მისი ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფესტივალს ყოველწლიურად სტუმრობენ ღვინის იმპორტიორები, ჟურნალისტები, მწერლები და დარგის სხვა პროფესიონალები სხვადასხვა ქვეყნიდან, რაც საქართველოს მარნების წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, ადგილზე გააცნონ ღვინოები პოტენციურ მყიდველებს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, აღნიშნულ ფესტივალს დაესწრნენ ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Marq Energie Consulting“ ღვინის პროფესიონალების 13-კაციანი ჯგუფის წევრები. ამასთან ერთად, ფესტივალის ფარგლებში, ცნობილმა ამერიკელმა ღვინის მწერალმა ელის ფერიინგმა ჩაატარა სემინარი „კლიმატის კრიზისი და მისი გავლენა ბუნებრივ ღვინოზე“, დანიელმა იმპორტიორმა და ვიზიონერმა სუენ როსფორტმა სემინარი „რეგიონის ეკოლუცია ბუნებრივი ღვინისთვის“, ხოლო ესპანელი სომელიე და ენოლოგი ნურია რენომი უძღვებოდა ღვინის კუთხეს: „ემოციის განცდა ღვინოში ვენახიდან ჭიქამდე“.



„ღვინის კლუბის“ ორგანიზებით გამართულ „ახალი ღვინის ფესტივალს“ მთაწმინდის პარკში უმასპინძლა



ფესტივალი ღვინის ეროვნული სააგენტოს და თბილისის მერიის მხარდაჭერით გაიმართა და მისი მიზანი ქართული ღვინის პოპულარიზაცია, ახალი მარნების წარმოჩენა, ღვინის ტურიზმისა და ღვინის სამომხმარებლო კულტურის განვითარების ხელშეწყობაა.

ფესტივალში 200-მდე დიდი, საშუალო და მცირე მწარმოებელი მონაწილეობდა; მათ სტუმრებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 2023 წლის მოსავლის ღვინოები დააგემოვნებინეს. ღონისძიება, ტრადიციულად, ქვევრის გახსნის ცერემონიით დაიწყო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა ფესტივალზე წარმოდგენილ პროდუქციას გაეცნო.

„ღვინის ეროვნული სააგენტო ნელსაც, როგორც გასულ წლებში, „ახალი ღვინის ფესტივალის“ მხარდაჭერით, მეღვინეობის დარგისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო სემენტის განვითარების ხელშეწყობა, რასაც ღვინის ეროვნული სააგენტო სხვადასხვა მხარდაჭერი ღონისძიებით ახორციელებს. ფესტივალი ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ღვინის

სომელიებს, ექსპერტებსა და იმპორტიორებს მასპინძლობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფესტივალის ფარგლებში, მცირე და საშუალო მარნებს საუკეთესო შესაძლებლობა აქვთ, საკუთარი პროდუქცია ღვინის პროფესიონალებსა და მომხმარებლებს გააცნონ“, - აღნიშნა ლევან მეხუზლაძემ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, მთაწმინდის პარკში გამართულ „ახალი ღვინის ფესტივალს“ ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Marq Energie Consulting“ ღვინის პროფესიონალების 13-კაციანი ჯგუფის წევრები დაესწრნენ.

„ახალი ღვინის ფესტივალი“ 2010 წლიდან ტარდება და მისი მასშტაბი ყოველ წელს იზრდება. ტრადიციულად, ფესტივალს, ქართველი და უცხოელი ღვინის პროფესიონალები და ღვინის მწერლები სტუმრობენ, რომლებიც სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოში ჩამოდიან.



ყაზბეგის ეროვნული პარკის მრავალფეროვან ფლორასა და ფაუნას თავდაუზოგავად იცავენ ბუნების მსვლი რეინჯერები. სწორედ მათი შრომის შედეგად, ყაზბეგის ეროვნულ პარკში მომრავლებულია ფლორისა და ფაუნის არაერთი უნიკალური სახეობა



ნიკოლოზ ჩქარეული, 2018 წლიდან ყაზბეგის ეროვნული პარკის რეინჯერია. ბუნების, მთების და ცხოველების სიყვარულმა რეინჯერის პროფესიამდე მიიყვანა. ნიკოლოზ ჩქარეულის სამსახურებრივი მოვალეობა, სხვების მსგავსად, ეროვნული პარკის დაცვა და მისი ბინადრების უსაფრთხოებაზე ზრუნვაა. მისი საინტერესო წამოწყებაა, ყაზბეგის ეროვნული პარკის გამორჩეული ბინადრების - ჯიხვების ფოტოგრაფირება. ნიკოლოზი მოთმინებით აკვირდება პოპულაციას და მომარჯვებული კამერით, ცხოველების ბუნებრივ გარემოში ცხოვრების საინტერესო მომენტებს აფიქსირებს, შემდეგ კი, ჩვენ გვაძლევს მათი დაკვირვების შესაძლებლობას.

ცაში აზიდული მყინვარწყვერი, საქართველოს სავიბიტო ბარათი - გერგეთის სამება, ულამაზესი ჩანჩქერები, ალპური მდელოები, თოვლით დაფარული მწვერვალები - ყაზბეგის ეროვნულ პარკში მოგზაურობისას სწორედ ამ ჯადოსნურ ადგილებს აღმოაჩენთ.



მნიშვნელოვანია, რომ ჩემი სამსახური ხელს მიწყობს, ველზე თავი კომფორტულად ვიგრძნო. ალტურული ვარ ყველა საჭირო ალტურულიანობით. რაც დრო გადის უფრო და უფრო ვინამლები და მიყვარდება ჩემი საქმიანობა, ვიცავ გადაშენების პირას მყოფ ცხოველებს და რომ ვაკვირდები მათ მომრავლებას დროთა განმავლობაში, მიხარია, რომ პატარა ნვლილი მეც შემაქვს შეტანილი ამ საქმეში.

იმდენ საოცარ ფაქტს ვაწყდებოდი, გამიჩნდა სურვილი გადამელო და გამეზიარებინა ყველასთვის. ადრე თუ ჯიხვის სანახავად კილომეტრების გავლა გინევდა, დღეს იმდენად ახლოს ჩამოდიან შეგიძლია უკვე შეუიარაღებელი თვალითაც დაინახო ხოლმე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, შევისწავლე როგორ მიუახლოვდე ჯიხვს, რადგან ძალიან ფრთხილი ცხოველია. ვარჩევდი დროს, ქარის მიმართულებას, რათა ადამიანის სუნი არ ეგრძნო. ყოველ ჯერზე მიჩნდებოდა სურვილი უფრო ახლოს მივსულიყავი, ყველაზე ახლოს 20 მეტრშიც მივსულვარ - ეს იყო საოცარი შეგრძნება. ხუმრობენ ხოლმე, ვისაც ჯიხვის ნახვა უნდა ნიკოლოზი ნავიყვანოთ, მას უკვე ცნობენ და აღარ გაიქცევიანო.“



ნარჩენების მართვის, სათბური აირების ემისიების შემცირების და მრავალჯერადი გამოყენების შეფუთვის სისტემების დანერგვის მიმართულებით ახალი პროექტი იწყება



გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საქართველოში ახალ პროექტს „ციკლულარული ქალაქის ლაბორატორია“ იწყებს. პროექტის პრეზენტაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი დაესწრო. მინისტრის მოადგილემ GIZ-ის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ დონორი ორგანიზაციების ჩართულობა ქვეყნის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში უმნიშვნელოვანესია. აღსანიშნავია, რომ პროექტის სამიზნე გეგმა ადგილობრივი ბიზნესი, განსაკუთრებით ქალი მეწარმეები. პროექტი გერმანიის ეკონომიკური

თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება.

„ნარჩენების მართვა საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველოს მიღებული აქვს ნარჩენების მართვის სტრატეგია და ეროვნული გეგმა, სადაც ძირითადი ყურადღება სწორედ ნარჩენების პრევენციას, ნარჩენების ხელშეწყობაზეა გათვალისწინებული და რეციკლირებას ეთმობა. შეფუთვის

ნარჩენები დღემდე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. საქართველოში წელიწადში დაახლოებით 200-250 ათასი ტონა შეფუთვის ნარჩენი გროვდება, რაც მთელი ნარჩენების 16-17%-ია. ჩვენი მიზანი გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბებაა“, - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

გერმანიის საელჩოს სამხრეთ კავკასიის განვითარების თანამშრომლობის განყოფილების უფროსის, ლილია ქრისტემანის განცხადებით, სამართ-

ლებრივი ჩარჩოების და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნის მიმართულებით საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადადგა, ახლა ძირითადი ყურადღება ამ დოკუმენტების იმპლემენტაციას უნდა დაეთმოს.

„გაფასებ საქართველოს მისწრაფებას, დანერგოს ნარჩენების მართვის საერთაშორისო პრაქტიკა. მრავალჯერადი გამოყენების შეფუთვის სისტემების იმპლემენტაცია ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. რაც უფრო ნაკლები შეფუთვა გამოიყენება, მით ნაკლები ნარჩენი წარმოიქმნება, ეს პრობლემის მოგვარების გასაღებია. გარდა ამისა, ეს ფინანსური რესურსების დაზოგვის და სათბური აირების გამოყოფის შემცირების საუკეთესო საშუალებაა“, - აღნიშნა ლილია ქრისტემანმა.

პროექტის წარდგენის პარალელურად, პანელური დისკუსია „ციკლულარული ეკონომიკა, ნარჩენების პრევენცია და ხელახალი გამოყენება საქართველოში“ გაიმართა, რომლის ფარგლებშიც საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის განვითარებაზე და ნარჩენების მართვის სისტემების დანერგვის საკითხებზე იმსჯელეს

პროექტი „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ 24 მუნიციპალიტეტში განხორციელდება



პროექტი „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“, არსებულ სამიზნე მუნიციპალიტეტებთან (გორი, ლაგოდეხი, სიღნაღი, თელავი, ახმეტა, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ქობულეთი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური) ერთად, დამატებით კიდევ 12 მუნიციპალიტეტში: შუაქვი, ხულო, ხელვაჩაური, მესტია, ჩხორონყუ, ამბროლაური, ონი, ზესტაფონი, საჩხერე, ჭიათურა, ხონი და მარტვილი განხორციელდება. პროექტის წარდგენის მიზნით, აღნიშნული სამიზნე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოადგილე ეკატერინე ბენდელიანი და საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელის მოადგილე ანა ჩერნიშოვა პრეზენტაციას ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ჩართულობაზე და შესაძლებლობების გამოყენების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. შეხვედრის მონაწილეებთან ერთად, თემზე დაფუძნებული რისკის მართვის მნიშვნელობა, პროგრამის ფარგლებში მომზადებული საფრთხის რუკები და განსახორციელებელი აქტივობები განიხილეს.

პროექტი „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ დაფინანსებულია საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (CCF), შვეიცარიის და შვედეთის მთავრობების მიერ, მის განხორციელებას კი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) უზრუნველყოფს. პროექტის ფარგლებში, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის თანამედროვე მექანიზმები, მათ შორის, ჰიდრომეტეოროლოგიური

დაკვირვებისა და ადრეული შეტყობინების სისტემები უნდა დაინერგოს. ძირითადი სამუშაოები განხორციელდება საქართველოს 11 დიდი მდინარის აუზებში, სადაც კატასტროფების რისკი განსაკუთრებით მაღალია. გარდა ამისა, გაიზრდება კლიმატის ცვლილების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მასშტაბი.

პროექტის ფარგლებში, 2020 წლიდან, კლიმატის ცვლილების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს. ტარდება სამიზნე მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის, საგანმანათლებლო სექტორის, სათემო/არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენელთათვის კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი საფრთხეების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები, ლექცია-სემინარები და ტრენინგები. იმართება სამუშაო შეხვედრები, სადაც მონაწილეები, პროექტის ექსპერტთან ერთად, მსჯელობენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების როლზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რის-

კის შემცირების პროცესში, ასევე განიხილავენ გამოწვევებს და თანამონაწილეობით პროექტის დაგეგმვის უპირატესობებს, შეიმუშავენ საპროექტო წინადადებებსა და ადვოკატირების კამპანიის გეგმებს. მონაწილეები ეცნობიან სწრაფი რეაგირების გეგმის შექმნის, რისკების შეფასებისა და სწრაფი რეაგირების გეგმის შემუშავების სწორ გზებს.

პროექტის ფარგლებში, ყოველწლიურად ცხადდება საგრანტო კონკურსები სკოლებისთვის, ბაღებისთვის, მედიის და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ სამიზნე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

სათემო ორგანიზაციებისათვის ცხადდება კონკურსი „შექმენი უსაფრთხო თემი“

კონკურსის მიზანია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების შესახებ ცნობიერების ამაღლება, თემზე დაფუძნებული კატასტროფის რისკის მართვის ხელშეწყობა, კატასტროფების მიმართ თემის მედეგობის გაძლიერება დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით. კონკურსზე წარდგენილი პროექტი უნდა უკავშირდებოდეს პროგრამით გათვალისწინებული 7 ბუნებრივი საფრთხიდან (წყალდიდობა, სეტყვა, ღვარცოფი, მეწყერი, გვალვა, ძლიერი ქარი, ზვავი) ერთ-ერთს, რომელიც გამოწვევას წარმოადგენს როგორც მუნიციპალიტეტისათვის, ისე თემისთვის.

სკოლებისთვის ცხადდება კონკურსი „ისწავლე უსაფრთხო გარემოში“.

კონკურსის მიზანია ადგილობრივ დონეზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი საფრთხეების შემოქმედების შემცირების ხელშეწყობა, ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული კატასტროფების შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება და დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით, თემის მედეგობის გაძლიერება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის ცხადდება კონკურსი „შექმენი კლიმატმეგობრული ბაღი“.

კონკურსის მიზანია გარემოსდაცვითი საკითხებზე ცნობიერების ამაღლება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენლებისათვის.

პროექტის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის ცხადდება კონკურსი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერი რეგიონული მედიის წარმომადგენელს, რომელიც მოამზადებს საკონკურსო მასალას კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირების თემაზე. ამასთან, შესაძლებელია გუნდური საკონკურსო ნამუშევრის წარდგენა. საუკეთესო ტელე-რადიო სიუჟეტისა და ბეჭდური/ონლაინ სტატიის ავტორებს სპეციალური პრიზები გადაეცემათ.

აღნიშნული კონკურსების შესახებ დეტალური ინფორმაცია ვრცელდება გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ოფიციალურ ვებ და FB-ის გვერდებზე.

პროექტის ფარგლებში, 2022 წლიდან, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, ახალგაზრდული ბანაკი „კლიმატის ელჩები“ ეწყობა.

ბანაკი მიზნად ისახავს 15 - 17 წლის ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი საკითხების და კლიმატის ცვლილების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ბანაკის მონაწილეები, დარგის სპეციალისტებთან ერთად, მუშაობენ ბიომრავალფეროვნების, ტყის რესურსების მდგრადი მართვის, ჰიდროლოგიური და გეოლოგიური საფრთხეების, კატასტროფის რისკის შემცირების, საფრთხეების შეფასებისა და რისკის განსაზღვრის თემებზე. ბანაკის მონაწილეები იღებენ ინფორმაციას გეოლოგიისა და ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის საქმიანობაზე, მიმდინარე და დაგეგმილ აქტივობებზე, განიხილავენ დაკვირვების სისტემებს, რომლებიც გამოიყენება ამინდის პროგნოზირებისთვის და ადრეული გაფრთხილებისთვის.

2022 წლიდან, ყოველწლიურად, „მწვანე სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში, გარემოსდაცვითი მიმართულების 32 სტუდენტს 1500-ლარიანი სტიპენდია გადაეცემა.

პროგრამას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფართომასშტაბიანი ინიციატივის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, კლიმატის მწვანე ფონდის (CCF), საქართველოს, შვედეთისა და შვეიცარიის მთავრობების მხარდაჭერით ხორციელდება. „მწვანე სტიპენდიების“ პროგრამა ხელს უწყობს გარემოსდაცვითი დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაციას და წარჩინებული სტუდენტების წახალისებას. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის უწყებებში.



ახეთის მუნიციპალიტეტში წარმოებული ენერგოეფექტიური ლუმენური მთელი ქვეყნის მასშტაბით იყიდა



კომპანია „აირონ +“. ახეთის მუნიციპალიტეტში საქმიანობს. 2023 წელს მიიღო მონაწილეობა გადამმუშავებული და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამაში და ისარგებლა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით. ენერგო-ეფექტიური ლუმენების თანადაფინანსების პროგრამით, კომპანიამ მოახდინა წარმოებული ლუმენების სერტიფიცირება.

„15 წელზე მეტია ვსაქმიანობ ენერგოეფექტიური ლუმენების წარმოების მიმართულებით. რამდენიმე წელია ვსარგებლობ სახელმწიფოს მხარდაჭერით. სოფლის განვითარების

სააგენტოს პროგრამებმა მოგვცა საშუალება სრულიად სხვა მასშტაბებზე გავსულიყავით. სააგენტოს პროგრამებში ჩართულობის შედეგად გავზარდეთ გაყიდვები. დღეისათვის, ჩვენ მთელი საქართველოს მასშტაბით ვყიდით ჩვენ მიერ წარმოებულ ენერგოეფექტიურ ლუმენებს“, - აღნიშნავს შპს „აირონ +“-ის დირექტორი ზურაბ ბაბულაიძე.

მისივე თქმით, სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებმა საშუალება მისცა შეეძინა დანადგარები, გაეზარდა წარმოების მოცულობა და საკუთარი წარმოების პროდუქციის სერტიფიცირება მოეხდინა.

სახელმწიფოს ხელშეწყობით შავილი საწარმო ქალაქი



საწარმო „კერკი“, რომელიც მაღალმთიან აჭარაში, ქედის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების - გადამმუშავებული და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამისა და შეღავათიანი აგროკრედიტის ხელშეწყობით შეიქმნა. საწარმოში, ადგილობრივი ნედლეულისგან ჩირს, ჩურჩხელას, ტყლაპასა და თხილუებს ამზადებენ.

„მშრალი ხილის წარმოების იდეა 5 წლის წინ გავიჩინე. გვექონდა სურვილი, შეგვექმნა ჯანსაღი პროდუქტი და არჩევანი გავაკეთეთ ჩირის წარმოებაზე,

ასე გაჩნდა „კერკი“. საქმის წამოწყება პანდემიის დაემთხვა, თუმცა ჩვენი გუნდის მიზანდასახულობამ და სახელმწიფოს მხარდაჭერამ მოგვიყვანა წარმატებამდე“, - აღნიშნავს კომპანიის „კერკი“ კომერციული დირექტორი ესმა ხალვაში.

კომპანიის „კერკი“ კომერციული დირექტორის ესმა ხალვაშის თქმით, წარმოება სრულად ქართულ ნედლეულზე მუშაობს, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იზარებენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედ საწარმოს პროდუქცია ექსპორტზე გააქვს



„რამდენიმე წლის წინ, ქართული ნაციონალური კერძების კონსერვირებული სახით წარმოების იდეა გავიჩინე. სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული კონსერვის, ბრენდის „სადილი“ წარმოება დავიწყეთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი პროდუქცია არის სრულად ნატურალური, არ შეიცავს დანამატებს და მზადდება მაღალი ხარისხის ნედლეულით“, - აღნიშნავს კომპანიის „ჯეონატურალი“ დირექტორი მარინა არაშვიძე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედი საწარმო, 2016 წელს, სოფლის განვითარების სააგენტოს გადამმუშავებული და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამისა და შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ხელშეწყობით შეიქმნა. „სადილი“ 20-მდე დასახელების კონსერვირებულ პროდუქტს აწარმოებს. საწარმოში 30 ადამიანია დასაქმებული. პროდუქცია ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე ქსელურ მარკეტშია წარმოდგენილი, ასევე გადის ექსპორტზე აზერბაიჯანსა და კანადაში.

„საქართველოს მელიორაცია“ დაშრობის საფრთხის წინაშე მყოფი აუზის ტბის წყლით მომარაგების საშუალები დაასრულა



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია და ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი დოხტორიშვილი კუმისის ტბაზე დასრულებული სამუშაოების შედეგებს გაეცნენ.

აღსანიშნავია, კუმისის ტბა დაშრობის საფრთხის წინაშე, ჩამდინარე წყლების შემცირების გამო დადგა, რაც ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა.

„კუმისის ტბა, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 470 მეტრზე მდებარეობს და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჭარბტენიანი ტერიტორიაა მოზამთრე და გადამფრენი ფრინველებისათვის, რომლებიც აღნიშნულ ეკოსისტემას საკვებად და მიგრაციისას შესასვენებელ ადგილად იყენებენ. ამ მხრივ კუმისის ტბა უნიკალური ადგილია. საქართველოს მელიორაციის მიერ ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში, კუმისის ტბის წყლით შევსებით, ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება განხორციელდა.

ყველა იმ შემთხვევაში, სადაც დაშრობის საფრთხის წინაშე არსებული ტბების შევსების და მათი გადარჩენის შესაძლებლობა იქნება, ჩვენ შესაბამის ღონისძიებებს ჩავატარებთ“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

სოფელ ახალ კუმისში, ჩატარებული სამუშაოების შედეგად, შესაძლებელი გახდა ბუნებრივი ჩამონადენი წყლის განმუხტვის არხებში თავმოყრა და მთლიანად კუმისის ტბის მიმართულებით გაშვება. სამუშაოების ფარგლებში, 2 მიმართულებით გაიჭრა და გაინაწილა 2 კილომეტრამდე არხი, რის შედეგადაც დაჭაობებული ადგილებიდან წყალი ჯერ კოლექტორებში, ხოლო შემდეგ ტბაში ჩაედინება.

ჩატარებულმა სამუშაოებმა კუმისის ტბაში დამატებით 2.5 მლნ მ3 წყლის შედინება უზრუნველყო, რამაც წყლის საერთო მოცულობა 7 მლნ მ3-მდე გაზარდა.

განხორციელებული სამუშაოების შედეგად, ტბაში წყლის დონემ მოიმატა და ეკოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.



ხობი-უტორას დაშრობის მასივის განხორციელების მიზნით სამუშაოები მიმდინარეობს



შპს „საქართველოს მელიორაცია“ ხობის მუნიციპალიტეტში, ხობი-უტორას დაშრობის მასივის მოწყობის სამუშაოებს ატარებს.

სოფელ შუა ხორგაში ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასივს 3 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური

არხი იწმინდება. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზარდა და მუნიციპალიტეტში 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.



ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის მიზნით სამუშაოები მიმდინარეობს



„საქართველოს მელიორაცია“ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებს ახორციელებს. პროექტი, რომლის ღირებულებაც 3,8 მლნ ლარზე მეტია, 14 კილომეტრამდე სიგრძის სრულიად ახალი, დახურული ქსელის და სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობის მოწყობას ითვალისწინებს.

სამუშაოების განხორციელების შედეგად, ახეთის მუნიციპალიტეტის სოფელი მათანის 400 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოიწვევა.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი თამაზ მღებრიშვილი ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებს გაეცნო და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა. აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონში, 2012 წლიდან, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 107 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა - ჯამური ღირებულებით 71,3 მლნ ლარი.

შედეგად, წყალზრუნველყოფილია დამატებით 24 120 ჰექტარი მიწის ფართობი, სარწყავი წყლის მიწოდება 13 320 ჰექტარზე გაუმჯობესდა, ხოლო დაშრობილი მიწის ფართობი რაოდენობაა 8725 ჰექტარი.

ბაიოტექნოლოგიები

ივეტა მეგრელიშვილი ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიის უფროსი



ლოვანია დაავადებების პრევენციის, მათი შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების და ჯანსაღი, უვირუსო სარგავი მასალის წარმოებისთვის. თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდების გამოყენებით, პირველად საქართველოში, არაერთი მცენარეთა ვირუსული, ბაქტერიული და ფიტოპლაზმური დაავადებების იდენტიფიცირება და კვლევა განხორციელდა.

ივეტა მეგრელიშვილი, ბიოტექნოლოგიის მიმართულებით სადოქტორო დასრულების შემდგომ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მცენარეთა პათოლოგიების კვლევის მიმართულებით განაგრძო; 2014 წლიდან კი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტში მუშაობს.

ივეტა მეგრელიშვილი: „გუნდთან ერთად ჩატარებული კვლევები მნიშვნე-

ლიაა, რადგან მინდა აღვნიშნო, რომ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო პლატფორმებზე, ქართველ და უცხოელ კოლეგებს მუდმივად ვუზიარებ მიღებულ შედეგებს, ამავე დროს, თანამედროვე კვლევებთან დაკავშირებულ უახლეს ინფორმაციას ვეცნობი. ამჟამად, ჩართული ვარ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში, სადაც 33 ქვეყნის 250 მეცნიერი მონაწილეობს“.

ივეტა მეგრელიშვილი, ქართველ და უცხოელ კოლეგებთან ერთად, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მისთვის მთავარი მოტივატორი ახალი და საინტერესო პროექტების შესრულებაა, რომელსაც როგორც მეცნიერული ღირებულება, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

ივეტა მეგრელიშვილი: „სოფლის მეურნეობაში სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ერთ-ერთი წამყვანი რგოლია, მეცნიერებასა და პრაქტიკაში მეცნიერული მიღწევების გამოყენების კუთხით. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ადგილობრივი ფერმერებისთვის, მათი ცნობიერების ამაღლებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაუმჯობესების თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობის მეცნიერებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს ვურჩევ, იშრომონ საკუთარი მიზნების მისაღწევად და არასდროს დაკარგონ მოტივაცია, მუდმივად გაეცნონ სიახლეებს და დაეყრდნონ გამოცდილი სპეციალისტების რჩევებს. აუცილებელია იყო წინსვლაზე ორიენტირებული, ამისთვის არ დაიშურო ენერჯია და ენთუზიაზმი და, რაც მთავარია, გვეროდეს საკუთარი შესაძლებლობების“.

უხუცეს ვეტერინარს, თამაზ გავაშელს მადლობას ვუხდით ათწლეულების განმავლობაში ცხოველებისა და, შესაბამისად, ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის



ვეტერინარიის დეპარტამენტის პრაქტიკულ თუ საკონსულტაციო საქმიანობაში.

მისთვის ვეტერინარია ცხოვრების ნაწილია. ბატონი თამაზის მეუღლეც, ანგარდაცვლილი დოქტორი გომელაური, ვეტერინარი იყო, რაც იმდროისათვის იშვიათობას წარმოადგენდა; ვეტერინარობა მამაკაცურ პროფესიად ითვლებოდა, თუმცა, ქალ-ბატონი დოქტორის ამ ფაქტორს ხელი არ შეუშლია

ვეტერინარი, მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის, მწერალთა ნაციონალური აკადემიის წევრი თამაზ გავაშელი 80 წლისაა!

მიუხედავად რეგალიების სიმრავლისა, ბატონმა თამაზმა ცხოვრების 6 ათეულ წელზე მეტი ვეტერინარიის მიუძღვნა. იგი დღესაც აქტიურად მონაწილეობს სურსათის ეროვნული სააგენტოს

და მეუღლის მხარდახარ ღირსეულად იმუშავა.

თამაზ გავაშელი ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სწავლის პერიოდში განვლული იყო სავალდებულო სამხედრო სამსახურში, სადაც სამხედრო მედიკოსად დააჯილდოვეს, ინსტიტუტმა კი სამადლობელი წერილი მიიღო.

შემდეგ იყო მრავალწლიანი მოღვაწეობა ცხოველთა განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა რესპუბლიკურ ლაბორატორიაში, სადაც სხვადასხვა პერიოდში ხელმძღვანელობდა სეროლოგიურ, ტოქსიკოლოგიურ, ეპიზოთიურ, იქტიოპათოლოგიურ და ლეიკოზების შემსწავლელ განყოფილებებს. მისი ნაშრომები ვეტერინარიაში სიახლედ და რეკომენდებულ სახელმძღვანელოდ აღიარეს.

მოსკოვის ვეტერინარული საინსტიტუტო ინსტიტუტის ასპირანტურის დასრულებისა და დისერტაციის წარმადებით დაცვის შემდეგ მეცნიერებათა დოქტორი თამაზ გავაშელი ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეა, შემდეგ - ვეტერინარული პრეპარატების სამეც-

ნიერო-საკონტროლო ცენტრის დირექტორი; ამავე დროს, ხელმძღვანელობდა ვეტერინარული პროფილის მქონე უმაღლესი სასწავლებლების სახელმწიფო საგამოცდო კომისიებს.

მისი სამეცნიერო და პედაგოგიური ნაშრომები გამოყენებულია როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების სალექციო სამეცნიერო მასალებში.

თამაზ გავაშელი დღესაც აქტიურად მოღვაწეობს ვეტერინარიაში, იგი სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის მრჩეველია და დარგში შეტანილი წვლილისა და საქმიანობის ერთგულებისათვის მადლობის სიგელი აქვს მიღებული, თუმცა, წუხს, რომ დღეს აღარ არსებობს ვეტერინარიის სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა და, შესაბამისად, ქვეყანა პროფესიონალი კადრების დეფიციტს განიცდის.

ტყის ხანძრების პრევენციის ამერიკული კამპანია „SMOKEY BEAR“ საქართველოში განხორციელდა



ტყის ხანძრების პრევენციის კამპანიას „Smokey Bear“, რომლის მიზანია სკოლამდელი და სკოლის ასაკის ახალგაზრდების ცნობიერების დონის ამაღლება და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაა, აშშ-ის სატყეო სამსახური ახორციელებს. „Smokey Bear“ აშშ-ში 40-იანი წლებიდან მიმდინარეობს და მისი სლოგანია „მხოლოდ შენ შეგიძლია თავიდან აიცილო ტყის ხანძარი“.

„Smokey Bear“-ის კამპანია ქართველ სპეციალისტებს აშშ-ის სატყეო სამსახურის წარმომადგენლებმა გააცნეს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კარლო ამირგულაშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ხანძრების პრევენციის ნაწილში ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანი კომპონენტია.

„მადლობა ამერიკის სატყეო სამსახურს კამპანია „Smokey Bear“ საქართველოში

განხორციელების შესაძლებლობისთვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ტყის ხანძრების პრევენციის სწორად გატარება. ჩვენს რეინჯერებს და მეტყევეებს ხანძრის ადგილებზე შესაბამის ღონისძიებებში ჩართვა ევალებათ, შესაბამისად, ჩვენ ძალიან დიდი როლი გვაკისრია, მათ შორის, პრევენციის ნაწილში; რაც მეტი განათლება გვექნება ჩვენ და ჩვენს ახალგაზრდა თაობას, მით მეტად შეუძლებს ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რაც ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას შეუწყობს ხელს“, - აღნიშნა კარლო ამირგულაშვილი.

სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ამერიკულ მხარეს საქართველოს ველურ ბუნებაში ხანძრის პრევენციის სამუშაოები, ტყის ხანძრებთან მიმართებაში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმადაც ტყის ხანძრების მართვის პრაქტიკა გააცნეს. შეხვედრას აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) სოფლის მეურნეობის ატაშე რიშან ჩაუდრი, აშშ-ის სატყეო სამსახურის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ეროვნული სატყეო სააგენტოს, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), CENN-ის და NACRES-ის წარმომადგენლები და დაინტერესებული მხარეები ესწრებოდნენ.



შინაური ცხოველებისთვის შხამიანი სარეველა მცენარეები

დედამიწაზე შხამიანი მცენარეების 10 ათასამდე სახეობაა ცნობილი, ისინი ფართოდ არიან გავრცელებული მსოფლიოში, მათ შორის გამოირჩევიან სარეველა მცენარეები. შხამიანი მცენარეები გამოიმუშავენ და აგროვებენ ტოქსიკურ ნივთიერებებს (ალკალოიდებს, ეთერზეთებს, ორგანულ მუჟავებს და სხვა). ფიტოტოქსინები, ჩვეულებრივ, მცენარის ყველა ნაწილშია, მაგრამ სხვადასხვა რაოდენობით, ამიტომ მცენარის სხვადასხვა ნაწილი ერთნაირად შხამიანი არ არის, ზოგჯერ შხამი გროვდება მცენარის ერთ რომელიმე ორგანოში. შხამის გამოიმუშავება და დაგროვება, ჩრდილოეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, სამხრეთში უფრო ინტენსიურია. მცენარეში შხამის შემცველობა დამოკიდებულია საარსებო გარემოსა და მცენარის განვითარების ფაზებზე, ზოგი მცენარე უფრო შხამიანია ყვავილობამდე, ყვავილობისას, ნაყოფმსხმოიარობისას. შხამიანი მცენარეების გაშრობისას, ხარშვისას, დასილოსებისას შხამის მოქმედება ქვეითდება ან ქრება, ზოგი მცენარე ამგვარი გადაამუშავების შემდეგაც ტოქსიკურია, რასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სილოსის დამზადებისას.

ბეჭიურა - *CALITUM APARINE L.*



ერთწლიანი, შხამიანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა ენდროსებრთა ოჯახიდან. ღეროს სიმაღლე 30-80 სმ, მხოხავი, სუსტი; ფოთოლი - ვიწრო ლანცეტისებრი; ყვავილი - წვრილი თეთრი, ყვავილობს ივლის-აგვისტოში; ნაყოფი - კაკლუჭა, გვერდიდან - თირკმლისებრი, ზურვის მხრიდან - მომრგვალო, მუცლის მხრიდან - შეწული, აქვს ამონაკვეთი, მონაცრისფერი - ყავისფერი, დაფარულია ჯაგრებით, სიგრძე 1.75-3 მმ, სიგანე 1.25-2.25 მმ; თესლი - ნაყოფის მაგვარი, ჯაგრების გარეშე; ჭიბი - ოვალური.

ბეჭიურით კვებისას ძროხის რძე იძენს წითელ ფერს, თივაში შერევისას იწვევს ცხვრების სიკვდილს, აგრეთვე შეუძლია გამოიწვიოს ფრინველების მოწამვლა.

ლევა - *DATURA STRAMONIUM L.*



ერთწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა ძალყურძენისებრთა ოჯახიდან. დიდი რაოდენობით შეიცავს ალკალოიდებს; ფესვი - მთავარლერძა, დატოვილი, ძლიერი; ღერო - 1.5 მ სიმაღლის; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, კვერცხისებრი, კიდდაკბილული, წვეროში წაწვეტებული, ზედა მხრიდან მუქი მწვანე, ქვედა მხრიდან მონაცრისფერი; ყვავილები - ერთეული, კენწრული ან ფოთლის უბესთან განვითარებული, თეთრი, დიდი ზომის, არასასიამოვნო სუნით, ყვავილობს ივლის - აგვისტოში; ნაყოფი - ოთხბუდეანი კოლოფი, დაფარულია ეკლებით, თესლი თირკმლისებრი, გლუვი, შავი, სიგრძე - 3-3.5 მმ, სიგანე - 1.5-2 მმ, ერთ კოლოფში მწიფდება 500-800 თესლი, ერთ მცენარეზე ვითარდება 25-45 ათასი თესლი. ლემას შეჭმის შემდეგ (თუ იგი შერეულია თივაში ან მწვანე საკვებში) ზოგიერთ ცხოველსა და ფრინველს (ცხენი, მსხვილი რქოსანი პირუტყვი, ბატი) უვითარდება ძლიერი ინტოქსიკაცია.

ლაკარტია - *PASPALUM DIGITARIA POIR.*



მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან; ფესურა - მოკლე, მხოხავი; ღერო - აღმავალი, 10-50 სმ სიმაღლის; ფოთლები - ხაზურა; ყვავილედ - თავთავი, ყვავილობს აგვისტოდან ოქტომბრის ბოლომდე; კლიანი მარცვალი - კვერცხისებრი, გლუვი, მბზინავი, სიგრძეზე სუსტად დაღარული (დანაოჭებული), ღია ყვითელი, ზოგჯერ ღია ნაცრისფერი, სიგრძე - 2-2.25 მმ, სიგანე - 1.25 მმ; თესლი (მარცვალი) - ოვალურ-კვერცხისებრი, ზურვის მხრიდან ამობურცული, მუცლის მხარეს - შეწული, ყავისფერი.

ნესტიან პირობებში მცენარე ავადდება სოკოვანი დაავადებით - *Claviceps paspali* (ჭვავის რქა - Ergot). პირუტყვი დაავადებული ლაკარტიითა დაჭმისას ავადდება „ბანდალათი“.

თახვესლა - *GALEOPSIS TETRAHIT L.*



ერთწლიანი, ბალახოვანი, სარეველა მცენარეა ტუჩოსანთა ოჯახიდან, სიმაღლით 50 სმ; ღერო - ძლიერ დატოვილია, რომელიც დაფარულია უხეში ბუხუხებით; ფოთლები - მოგრძო-კვერცხისებრი, წაწვეტებული, დაკბილული კიდეებით; ყვავილები - მოვარდისფრო; ყვავილობს ივლის-აგვისტოში; ნაყოფი - კაკლუჭა, უკუკვერცხისებრი ფორმის, მონაცრისფრო-ყავისფერი, ზედაპირი - მარცვლოვანი, სიგრძე - 2.75-3.25 მმ, სიგანე - 2-2.25 მმ; ერთ მცენარეზე ვითარდება 100-600 თესლი, სიცოცხლისუნარიანობა - 14 წელი.

შხამიანია მცენარის მიწისზედა ნაწილები და ნაყოფები, რის გამოც ცხენები ინამლებიან, ფუჭდება ძროხის რძე.

ლეურა, კაკლასიური მცენარე - *BRYONIA ALBA L.*



მრავალწლიანი, შხამიანი, ბალახოვანი, ღია მცენარეა გოგრიებრთა ოჯახიდან; სქელი ფესვი (ხორცოვანი) და რამდენიმე წვრილი, გრძელი (4 მ სიგრძის) ყლორტი აქვს, რომელიც ულვაშების საშუალებით ემაგრება მცენარეებს და სხვა საგნებს; ფოთლები ხაოიანია, გულისებრი ფეხითა და 5-7 წვეტიანი სამკუთხა ნაკვეთით; ყვავილები ცალსქესიანია, მაგრამ ერთ ინდივიდზე მდებარეობს (ერთსახლიანი მცენარე), მდებარეობით ყვავილები მომწვანო ან ყვითელია და ფარისებრ მტევნებშია თავმოყრილი, მამრობითი, ღია მოყვითალო ყვავილები ასევე ფარისებრ მტევნებშია თავმოყრილი, ყვავილობს მაის-ივლისში; ნაყოფი - შავი, მრგვალი, ჩვეულებრივ მრავალრიცხოვანი, 7-8 მმ დიამეტრით, მწიფდება ივლის-აგვისტოში.

განსაკუთრებით შხამიანია ფესვები და ნაყოფები, შეიცავს ალკალოიდებს, საბონინებს, იწვევს შინაური ცხოველების მოწამვლას.

რძინა - *EUPHORBIA ESULA L.*



მრავალწლიანი, ფესურიანი, შხამიანი ბალახოვანი სარეველაა რძინასებრთა ოჯახიდან; ფესვი - ძლიერი, დატოვილი, სქელი, ვრცელდება 4 მ-მდე; ღერო - სწორი, მარტივი, დატოვილი ზედა ნაწილში, ნაცრისფერი, 30-70 სმ სიმაღლის, შეიცავს თეთრ რძისმაგვარ სითხეს; ფოთლები - ხაზურა ან ლანცეტისებრი, სიგრძე - 2-9 სმ; ყვავილი - შეკრებილია 15 სხივური ქოლგის სახით, ყვითელია, ყვავილობს ივლისიდან - აგვისტომდე; ნაყოფი - კოლოფი, სამბუდეანი, ჩალისფერ - ყავისფერი; თესლი - ოვალური, მოგრძო, კვერცხისებრი, ზემოთ დიდი დანამატი; ზედაპირი - გლუვი, მბზინავი, ნაცრისფერი, სიგრძე - 2.5-3.25 მმ, სიგანე - 1.5-2 მმ.

თივასთან შერევისას იწვევს საქონლის მოწამვლას, რადგან შეიცავს შხამიან ნივთიერებას „ეუფორბინი“.

ყანის ბაია - *RANUNCULUS ARVENSIS L.*



ორწლიანი ფესვნაყარი სარეველა მცენარეა ბაიასებრთა ოჯახიდან. ფესვი - მთავარლერძა; ღერო - სწორმდგომი, დატოვილი, შეუბუსავი; სიმაღლე - 60 სმ; ფოთოლი - ერთეული, სამწკვირვანი; ყვავილი - წვრილი, ერთეული, ყვითელი, კენწრული; ყვავილობს ივნის-ივლისში; ნაყოფს იძლევა ივლის-აგვისტოში.

თესლი - კაკლუჭა, მომრგვალო, მომწვანოდან - მექ ყავისფრამდე, ზედაპირი - ამობურცული, სიგრძე - 3-5 მმ, სიგანე - 2.5-4 მმ, თესლები ძლიერ შხამიანია.

შხამიანია აგრეთვე, მიწისზედა ნაწილები, შეიცავს ფლავონოიდებს, მწვანე მასით კვების დროს იწვევს ცხოველების ინტოქსიკაციას, რაც ვლინდება ძლიერი ნერწყვის დენით, გულისრევით, მუცლის ტკივილით, კანკალით, გონების დაბნევით.

სიკუტა - *CICUTA VIROSA L.*



მრავალწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველა მცენარეა ქოლგოსანთა ოჯახიდან, განსაკუთრებით შხამიანია ფესურა. ფესურა - ვერტიკალური, ხორციანი, თეთრი, მრავალი წვრილი ფესვით; ღერო - დატოვილი, 1-1.2 მ სიმაღლის; ფოთლები - რთული, ორმაგად ფრთისებრდნაკვეთული, კიდდაკბილული; ყვავილები - წვრილი, ყვითელი ან თეთრი, შეკრებილია ქოლგა ყვავილედად, 10-15 სხივიანი, ყვავილობს ივლის - აგვისტოში; ნაყოფი - მცირე ზომის თესლურა, ყავისფერი, წაწვანებით, მწიფდება სექტემბერში; თესლები - კვერცხისებრი, ამობურცული ზურვით, ხუთი წაწვანით, ყავისფერი, თითქმის შავი ზოლებით, სიგრძე - 1.5-2.25 მმ, სიგანე - 1.25-2.75 მმ.

შინაური ცხოველებისთვის ძლიერ ტოქსიკურია, ნელდი ფესურის 200 გრ სასიკვდილო დოზას წარმოადგენს მსხვილი რქოსანი პირუტყვისთვის, ხოლო ცხვრებისთვის - 60-80 გრ.

ყანის საწოლა - *MELAMPYRUM ARVENSE L.*



ერთწლიანი, ბალახოვანი, ნახევრად პარაზიტი, სარეველა მცენარეა შავნამალასებრთა ოჯახიდან. ღერო - ცილინდრული, სწორმდგომი, დატოვილი, შებუსული, 15-50 სმ სიმაღლის; ფოთოლი - ლანცეტისებრი ან ხაზურა, კიდემთლიანი; ყვავილი - მოვარდისფრო - იასამნისფერი, ყვავილობს მაისიდან - სექტემბრის ბოლომდე; ნაყოფი - უკუკვერცხისებრი კოლოფი, სიგრძე - 0.8-1 სმ, სიგანე - 4-4.5 მმ; თესლი - მოგრძო, მუქი ყავისფერი, გლუვი, სიგრძე - 3-4.5 მმ, სიგანე - 1.5-2.5 მმ, თესლები შხამიანია.

სარეველათი კვების შემდეგ ძროხის რძე ცისფერი ხდება და არასასიამოვნო სუნს იძენს, ხოლო მწიფე თესლებით კვება იწვევს ცხენების და ცხვრების მოწამვლას.

ძალყურძენა - *SOLANUM NIGRUM L.*



ერთწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველა მცენარეა ძალყურძენასებრთა ოჯახიდან, შეიცავს ალკალოიდებს; ფესვი - ფუნჯა, ღერო



სწორი, დატოვილი, 30-120 სმ სიმაღლის; ფოთლები - მარტივი, მორიგეობით განლაგებული, ოვალური - კვერცხისებრი, კიდედაკბილული; ყვავილები - თეთრი, ვარსკვლავისებრი, შეკრული ნახევარქოლგად, ყვავილობს ივლისიდან აგვისტომდე; ნაყოფი - შავი, წვნიანი კენკრა, მრგვალი, 1 სმ დიამეტრის, მნიფდება აგვისტო-ოქტომბერში; თესლი მომრგვალო, კვერცხისებრი, გვერდებიდან შეჭყლეთილი, ფუძესთან შევიწროებული, ჭიბი-გვერდული, სუსტად შესამჩნევი, ზედაპირი ბადისებრი, მოყვითალო-ჩალისფერი, სიგრძე - 1.75-2 მმ, სიგანე - 1.25-1.5 მმ.

მოუშინებელი ნაყოფები შხამიანია, მწვანე მასით კვებისას იწვევს ცხოველების მოწამვლას. ძალე-ყურძენა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ძალღებებისთვის, კატებისა და ცხენებისთვისაც. მთავარ საფრთხეს ძალეყურძენაში შემავალი საპონინები და სოლანინები წარმოადგენენ.

კონიო - CONIUM MACULATUM L.



ორწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარვეველა მცენარეა ქოლგოსანთა ოჯახიდან. ფესვი - თითისტარისებრი, მოთეთრო; ღერო - დატოვილი, შეუბუსავი, 60-180 სმ სიმაღლის; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, ყუნწიანი, სამმაგად ფრთისებრდანაკვეთული; ყვავილები - თეთრი წვრილი, შეკრული ქოლგად, 12-20 სხივით, ყვავილობს ივნის- ივლისში; ნაყოფი - მომრგვალო ან კვერცხისებრი, ღია ყავისფერი, ორთესლიანი, გვერდიდან ოდნავ შეჭყლეთილი, ხუთი წახნაგით, მნიფდება აგვისტო-სექტემბერში; თესლურა

- დანაოჭებული ზედაპირით, ღია ყავისფერი, ყვითელი, მწვანე, სიგრძე - 3-3.75 მმ, სიგანე - 1.25-2 მმ, ერთ მცენარეზე ვითარდება 15 ათასი თესლი.

კონიო ტოქსიკურია ცხოველებისთვის და ფრინველებისთვის: ცხენებისთვის მოწამვლელობა ნედლი ბალახი 2-3 კგ, მსხვილფეხა რქოსანი ცხოველებისთვის - 4-5 კგ, იხვებისთვის - 50-70 გრ.

ასფრაცელა - PYRETHRUM VULGARE (L.) BOISS



მრავალწლიანი, ბალახოვანი სარვეველა მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან; ფესურა - მხო-ხავი, ჰორიზონტალური, მოზამთრე; ღერო - სწორმდგომი, ზედანაწილში დატოვილი, 1.5 მ სიმაღლის; ფოთლები - ოვალური, ორმაგად ფრთისებრდანაკვეთული, დაკბილული, ბოლოში წანვე-ტებული, სუნიანი, ზედა ფოთლები მკდომარეა, ქვედა - გრძელყუნწიანი, ღეროზე მორიგეობითაა განლაგებული; ყვავილედ - მცირე ან საშუალო კალათა, 1.2-1.8 მმ, ყვითელი ყვავილებით; ყვავილობს აგვისტო-სექტემბერში, ნაყოფი მნიფდება აგვისტო-ოქტომბერში; თესლურა - ცილინდრული, ოდნავ შეჭყლეთილი, 4-5 წახნაგოვანი, გლუვი, მომწვანო-წაცისფერი, სიგრძე - 1.5-1.75 მმ, სიგანე - 0.4-0.5 მმ; ერთ მცენარეზე ვითარდება 12000 თესლი.

მცენარის მიწისზედა ნაწილები შხამიანია, რის გამოც ძროხის რძე იძენს მწარე გემოს და არასასიამოვნო სუნს, ცხოველების ინტოქსიკაცია შეიძლება დამთავრდეს ლეტალურად.

მარიამსაჰელა - PEGANUM HARMALA L.



მრავალწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი მცენარეა ორყურასებრთა ოჯახიდან. ფესვი - მთავარღერძა, 2-3 მ სიგრძის; ღერო - დატოვილი, შიშველი, მწვანე, 30-80 სმ სიმაღლის; ფოთოლი - სამად გაყოფილი, მოკლევუნწიანი, მკდომარე, მორიგეობით განლაგებული; ყვავილი - ყვითელი ან თეთრი, დიდი ზომის და ბუჩქის ზედა ნაწილშია გაბნეული; ნაყოფი - ბურთისებრი, ოდნავ შეჭყლეთილი კოლოფი, 6-8 მმ დიამეტრის, სამბუდნიანი და სამსადგულიანი, თესლი - ყავისფერი ან წაცისფერი, სამწახნაგოვანი, 3-4 მმ სიგრძის.

მეტად ტოქსიკურია მცენარის ფოთლები და თესლები, შეიცავს ალკალოიდებს, იწვევს მსხვილი რქოსანი საქონლის, ცხენების, ცხვრების, კურდღლების მოწამვლას.

სულისპირა - LATHYRUS SATIVUS L.



მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა პარკოსანთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა, ნიადაგში

ვრცელდება 2 მ-მდე; ღერო - შიშველი, დატოვილი, სიმაღლე - 30-120 სმ; ფოთოლი - კენტფართო, ბოლოში ულვაშით, ფოთლის ფირფიტა მოგრძო-ლანცეტისებრი; ყვავილი - თეთრი ან ცისფერი, იშვიათად ვარდისფერი. მიწისზედა ნაწილი და თესლი შხამიანია, რადგან შეიცავს ალკალოიდებს; ნაყოფი - ბარკი, ოვალური, 2-5 თესლით, სიგრძე - 3-4 სმ, სიგანე - 1-1.3 სმ; თესლი - კუთხოვანი, სოლისებრი, გვერდებთან შეჭყლეთილი, ჭიბი - მოგრძო-ოვალური, ყვითელი, ღია ყვითელი, გლუვი, დიამეტრი - 6-10 მმ.

ტოქსიკურია მცენარის მიწისზედა ნაწილები და თესლები, რომლებიც შეიცავენ ალკალოიდებს, ყვავილობის დამთავრებამდე არ არის ტოქსიკური და წარმოადგენს კარგ საკვებს ცხოველებისთვის, ტოქსიკური ხდება ნაყოფების (პარკების) და თესლების ფორმირების დროს.

თიღირი - ACONITUM SOONCARICUM STAFF



მრავალწლიანი, ბალახოვანი, ფესურიანი, შხამიანი სარვეველა მცენარეა ბაიასებრთა ოჯახიდან. ღერო - სწორმდგომი 60-150 სმ სიმაღლის; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, ფრთისებრდანაკვეთული; ყვავილედ - მტევანი, ცისფერი, ისამწინფერი, ყვავილობს ივლისიდან - სექტემბრამდე; ნაყოფი - მშრალი, მრავალთესლიანი ფოთლურა, მნიფდება სექტემბერში; თესლი - პატარა, ოვალური, გვერდებთან შეჭყლეთილი, წაცისფერი, ყავისფერი, ქერცლისებრი ზედაპირით, სიგრძე - 5-6 მმ, სიგანე - 3-4 მმ, აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 1-1.5 წელი. იწვევს ცხოველების მოწამვლას.



■ თხილის კულტურის საფუძრეო და კვაბითი მნიშვნელობა

თხილი, საქართველოში, კაკლოვან კულტურებს შორის, საექსპორტო პოტენციალის და შემოსავლების კუთხით, გამოკვეთილი ლიდერი კულტურაა. იგი მაღალი კვებითი და გამოყენებითი ღირებულებით ხასიათდება. თხილის გული მთელ რიგ სასარგებლო ნივთიერებებს შეიცავს - ორგანული ცხიმები, ვიტამინები, ანტიოქსიდანტები და ა.შ. დადგენილია, რომ თხილის გულის რეგულარული მოხმარება სისხლში ქოლესტერინის დონეს და დიაბეტის განვითარების ალბათობას ამცირებს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ა.შ.

■ გაყვანის სისტემები

თხილის ბაღში მცენარეთა ოპტიმალური კვების არის შერჩევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც თხილის ბაღის პროდუქტიულობასა და მოსავლის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. ბაღში მცენარეთა განლაგების სწორი სისტემის გამოყენება, ფართობის ერთეულზე მცენარეთა ოპტიმალური რაოდენობის დათესვის საშუალებას იძლევა, რაც მცენარეთა მიერ კვების არის მაქსიმალურ ათვისებას, სინათლის ეფექტიან გამოყენებას, ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციას და შრომის ნაყოფიერების გაზრდას უზრუნველყოფს. ამჟამად, თხილის ბაღის გასაშენებლად ფართოდ გამოიყენება მცენარეთა სწორკუთხოვანი განლაგება.

ბაღის გაშენების გავრცელებული სქემებია 5.0 - 5.5 მეტრი X 3.5 - 4.0 მეტრზე.

■ სხვლა-ფორმირება

თხილის სხვლა-ფორმირება, თხილის მოყვანის აგროტექნოლოგიურ ღონისძიებებს შორის, საკვანძო ასპექტია. მცენარეების ფორმირება დარგვიდან პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში უნდა მოხდეს. ფორმირების მთავარი ამოცანა ერთმანეთის მიმართ პროპორციულად განლაგებული 4 - 6 ძლიერი დედა ტოტის შერჩევაა. ამ მიზნის მისაღწევად, გასხვლის პროცესში, სუსტად განვითარებულ და არასწორი კუთხით წამოსულ ჩამახმირებულ ტოტებს ამოჭრიან, იმ პრინციპის დაცვით, რომ მცენარის შუაგული გადატვირთული არ იყოს. თხილი მოსავალს, ძირითადად, ერთწლიან 15 - 40 სმ-ის შემოსავ, ლატერალური ტიპის სანაყოფე ტოტებზე იძლევა. ამიტომ ასეთი ტიპის სანაყოფე ტოტების გასხვლა დაუშვებელია, ასევე, როდესაც სანაყოფე ტოტების რაოდენობა მცირდება და თხილის ბუჩქი სიმაღლეში ინტენსიურ ზრდას იწყებს. აუცილებელია, ზემოთ მიმართული ტოტების დამოკლების ხარჯზე, მცენარის სიმაღლის 3.0 - 3.5 მეტრის ფარგლებში რეგულირება.

■ ირიგაცია

დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი მაღალი ნალექების მქონე კლიმატის პირობებში,

ტრადიციულად, თხილის მოყვანა მორწყვის გარეშე ხდებოდა. თუმცა, გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე, მოცემულ რეგიონებში თვალსაჩინოდ შეინიშნება გვალვიანი დღეების ხანგრძლივობის ზრდა, განსაკუთრებით, ზაფხულის პერიოდში, როდესაც თხილის მოსავლის ფორმირება ხდება. შესაბამისი რაოდენობის სარწყავი წყალი ახალგაზრდა და მსხმოიარე ბაღებს აძლიერებს, ხელს უწყობს ფესვთა სისტემის უკეთესად განვითარებას და სიცხის სტრესს ამცირებს. ამიტომ, მაღალი მოსავლის უზრუნველსაყოფად, მორწყვის თანამედროვე მეთოდების (წვეთოვანი ირიგაცია, 30 - 40 მმ წყალი ერთ მორწყვაზე) და/ ან ტრადიციული (მოღვარვით, მიშვებით) მორწყვის მეშვეობით თხილის ბაღების რეგულარული მორწყვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

■ განოყიარება

თხილის ბაღის განოყიერების სისტემა ნიადაგის კომპლექსური ანალიზის ჩატარების საფუძველზე უნდა შემუშავდეს. მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანის დროს გასათვალისწინებელია როგორც მაკრო (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, მეზო (კალციუმი, მაგნიუმი და სხვა), ასევე მიკროელემენტების (თუთია, ბორი, მანგანუმი, რკინა და სხვა) შემცველი სასუქების ნორმირებული მიწოდება. აუცილებელია სასუქების მიწოდების

აგროვადების და დოზების დაცვა. თხილის ზრდასრული ბაღის განოყიერების (ექიურ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით) საორიენტაციო სქემა: (აზოტი) N 90-120, (ფოსფორი) P 205-60-90 და (კალიუმი) K - 90-120.

■ ნიადაგის მოვლის პრინციპები

თხილის ბაღში ნიადაგის მოვლა ერთ-ერთი საპასუხისმგებლო აგროტექნიკური ღონისძიებაა, რომლის ძირითადი მიზანი მცენარეების ნორმალური განვითარებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნაა.

თანამედროვე ტიპის თხილის ბაღში გამოყენებულია ნიადაგის მოვლის მთავარი პრინციპი: ხეების მწკრივი 0.8 - 1.0 მეტრის სიგანეზე მთლიანად გასუფთავებული უნდა იყოს სარვევლებისგან, რომლებიც თხილის მცენარეს კონკურენციას უწევენ. აღნიშნული მიზნით შესაძლებელია მექანიკური ღონისძიებების გატარება ხშირი თიხვა-შემოთხინის, ან ბიოპერბიციდების (ძმარი და სხვა) და სინთეზირებული ტიპის, უპირატესად კონტაქტური (ფასციინეტი, რეგლონი, კაბუკი და სხვა) პერბიციდების გამოყენებით. მნიშვნელოვანია ეტეკებზე მითითებული დოზისა და გამოყენების ნორმების გათვალისწინება.

■ ამონაყრების კონტროლი

თხილის კულტურისთვის აუცილებელია მცენარის შტამბიდან ამონაყრების სისტემატური კონტროლი. თხილის ძირიდან ამონაყრები მნიშვნელოვნად თრგუნავს თხილის დედატოტებიდან გვერდითი სანაყოფე ტოტების წარმოქმნას, რაც პირდაპირ უარყოფითად მოქმედებს პროდუქტიულობაზე. ამონაყრების მოცილება უმჯობესია აპრილის თვეში იქნას დაწყებული, როდესაც მათი სიმაღლე 8-10 სმ-ს მიაღწევს. ძირიდან ამონაყრების მოცილება შესაძლებელია როგორც მექანიკური გზით, ასევე სხვადასხვა კონტაქტური პერბიციდების გამოყენებით. სავეგეტაციო სეზონზე, აღნიშნული აგრო-ოპერაციის ჩატარება, შესაძლოა, რამდენჯერმე გახდეს საჭირო.





საქართველოს ბიომრავალფეროვნება

საქართველო მდიდარი ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა. გაგაცნობთ საქართველოს ფლორისა და ფაუნის ოთხ წარმომადგენელს

ჩვეულებრივი კონახური BERBERIS VULGARIS

ჩვეულებრივი კონახური ფართოდაა გავრცელებული კახეთის რეგიონში და გვხვდება ტყისპირა ადგილებში, ხეობებში, ბუჩქნარებში.

ხე ან ბუჩქი 3მ-მდე სიმაღლისაა, აქვს ქაფვისებური ეკლები და ელიფსური ფორმის თხელი ფოთლები. მცენარის ყვავილები მრავალყვავილოვანი და ყვი-თელია. ნაყოფი - ელიფსური, წითელი ფერის.



ქართული ნუში

ქართული ნუში - ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელი, 0.4 - 1 მ სიმაღლის ბუჩქია, რომელიც შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობა.

გავრცელებულია კახეთში, ქართლში და თრიალეთში; გვხვდება ბუჩქნარებში და ველებზე.

ბუჩქის ღერო რუხქერქიანია, ზედა ნაწილი დატოტვილია. ნაყოფი ხშირია, დაფარულია რბილი ჯაგრით.



ფასკუნჯი

ფასკუნჯი - გლობალურად საფრთხეში მყოფი სახეობაა და მისი პოპულაციის დინამიკა კლებადია. საქართველოში, ფასკუნჯის ქვესახეობა - *Neophron percnopterus percnopterus* არის გავრცელებული.

მისი სტატუსი მიგრატორი/მოზუდარი ფრინველია და სულ რამდენიმე ათეული მოზუდარი წყვილი მრავლდება უპირატესობას ანიჭებს ფართო არიდულ და კლდოვან ჰაბიტატებს. იკვებება ყველანაირი ტიპის ლეშით, კვერცხებით და სხვადასხვა დიდი ზომის მწერით, იშვიათად, თავს ესხმის დასუსტებულ მცირე ზომის ფრინველებსაც.

ფასკუნჯის სხეულის სიგრძე 60-70 სმ-ია, ფრთების შლილი 155-180 სმ, მასა კი - 1,6-2,2 კგ. ზრდასრული ფრინველი თეთრია, აქვს შავი მომქნევი ბუმბულები, რომლებიც მკვეთრად გამოჩნული ფრთის დანარჩენი ნაწილისაგან, გრძელი და ვიწრო ნისკარტი, რომლისებური კული. სახე შეფერილია ყვითლად

და შუებუმბლავია. ნისკარტი მოყვითალოა, მუქი წვერით. ფრთები - ვიწრო. ფეხები - სუსტი, მოვარდისფრო. თვალის ფერადი გარსი - მუქი. ნესტოები განლაგებულია გრძივად. კეფასა და კისერზე გაბურძღვნილი ბუმბული აქვს. ახალგაზრდა ფრინველი მოყავისფრო-მორუხია, ღია ფერის სახითა და ნისკარტით. ზრდასრული შეფერილობას დაახლოებით 5 წელში იღებს.

გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, აფრიკაში, სამხრეთ-დასავლეთ და შუა აზიაში, ინდოეთში; საქართველოში გადამფრენი და მოზუდარია. მთებში აღის ზღვის დონიდან 4500 მეტრამდე. ზამთარში ზომიერი განედებიდან მიგრირებს ტროპიკებში. ბინადრობს სტეპის ლანდშაფტის მთებსა და მთისწინეთებში. ცხოვრობს მარტო ან ჯგუფში. უმთავრესად იკვებება მძორით, შეუძლია ძვლების, მყესების, ჩლიქების, ტყავის გამხმარი ნაფლეთების ჭამა, იჭერს ქვეწარმავლებსაც. სამხრეთ რაიონებში ეტანება დასახლებებს, ხშირად იკრიბება დიდ გუნდებად. ბუდობს კლდოვან ნიშებსა და ხელოვნურ

გამოქვაბულებში, მიტოვებულ შენობებში, იშვიათად ხეებზე. ზოგჯერ ქმნიან რამდენიმე ათეული მოზუდარი წყვილისაგან შემდგარ კოლონიებს. აპრილში - მაისის დასაწყისში დებს 2 მოყვითალო-

თეთრ კვერცხს, მურა-წითელი ლაქებით. კრუხობს ორივე მშობელი 40 დღის განმავლობაში. ბარტყების გამოკვება 85 დღე გრძელდება. სრულწლოვანებას მე-4 - მე-5 წელს აღწევენ, ცოცხლობენ 37 წლამდე.



ჩვეულებრივი გვრიტი

ჩვეულებრივი გვრიტი - გლობალურად მონყვლადი სახეობაა, 1980 წლიდან ამ სახეობის პოპულაცია 78%-ით შემცირდა და კიდევ კლებულობს. საქართველოში ის მიგრატორი/მოზუდარი სახეობაა.

უპირატესობას ანიჭებს როგორც ტყიან ჰაბიტატს, სადაც ძირითადად გვხვდება ტყის კიდეებში, ასევე სტეპებს და ნახევარ-უდაბნოებს, ზღვის დონიდან 350 მეტრის სიმაღლის ფარგლებში, იშვიათად მიდის უფრო მაღლა. ძირითადად იკვებება მცენარეული თესლით. ბუდეს იკეთებს ხეზე, ბუჩქზე, ბუჩქის ძირას ან უშუალოდ მიწაზე. აპრილის დამლევს დებს 2

კვერცხს, კრუხობა გრძელდება 14 დღემდე. კრუხად მორიგეობით ჯდება ორივე მშობელი. ხუნდების აღზრდაში აქტიურ მონაწილეობას იღებს მამალიც.

